ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

20 მაისი, 1938 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ოფიციალური ორგანო ფასი 30 კაპ. № 12 (67)





ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

წარმოთქმული უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წ. 17 მაისს

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

ნება მომეცით წარმოვთქვა სადღეგრძელო მეცნიერებისა, მისი აყვავებისა, მეცნიერების მუშაკთა ჯანმრთელობისა.

მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერების, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით. (ტაში).

მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერებისა, რომელიც თავის ძველ და აღიარებულ ხელმძღვანელებს საშუალებას არ აძლევს მეცნიერების ქურუმთა ნაჭუჭში, მეცნიერების მონოპოლისტთა ნაჭუჭში თვითკმაყოფილებით ჩაიკეტონ, რომელსაც ესმის მეცნიერების ახალგაზრდა მუშაკებთან მეცნიერების ძველ მუშაკთა კავშირის აზრი, მნიშვნელობა, ყოვლისშემძლებლობა, რომელიც მეცნიერების ყველა კარს ნებაყოფლობითა და ხალისით უღებს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ძალებს და შესაძლებლობას აძლევს მათ დაიპყრონ მეცნიერების მწვერვალები, რომელიც სცნობს, რომ მომავალი ეკუთვნის მეცნიერ ახალგაზრდობას. (ტაში).

მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერებისა, რომლის მუშაკებს, ესმით რა მეცნიერებაში დამკვიდრებულ ტრადიციათა ძალა და მნიშვნელობა და ოსტატურად იყენებენ რა მათ მეცნიერების ინტერესებისათვის, მაინც არ სურთ იყვნენ ამ ტრადიციათა მონები, რომელსაც შესწევს მამაცობა, გამბედაობა დაამსხვრიოს ძველი ტრადიციები, ნორმები, მიზანდასახულებანი, როდესაც ისინი მოძველებული ხდებიან, როდესაც ისინი წინსვლის მუხრუჭად იქცევიან, და რომელსაც შესწევს უნარი შეჰქმნას ახალი ტრადიციები, ახალი ნორმები, ახალი მიზანდასახულებანი. (ტაში).

მეცნიერებამ თავის განვითარებაში ცოტა როდი იცის მამაცი ადამიანები, რომელთაც შესწევდათ უნარი დაემსხვრიათ ძველი და შეექმნათ ახალი, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მიუხედავად ყველაფრისა. მეცნიერების ისეთი ადამიანები, როგორიც არიან გალილეი, დარვინი და მრავალი სხვა, საყოველთაოდ ცნობილნი არიან. მე მინდა შევჩერდე მეცნიერების ერთერთ ასეთ კორიფეიზე, რომელიც ამასთან ერთად თანამედროვეობის უდიდესი ადამიანია. მე მხედველობაში მყავს ლენინი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი აღმზრდელი (ტაში). მოიგონეთ 1917 წელი. რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო მდგომარეობის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ლენინი მაშინ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობიდან არის სოციალიზმის გამარჯვება რუსეთში. ეს მეტად მოულოდნელი დასკვნა იყო იმდროინდელი მეცნიერების მრავალი წარმომადგენლისათვის. პლეხანოვი, მეცნიერების ერთერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, ზიზღით ლაპარაკობდა მაშინ ლენინზე, ამტკიცებდა რა, რომ ლენინი „ბოდავს". სხვები, მეცნიერების არანაკლებ ცნობილი წარმომადგენელნი, ამტკიცებდნენ, რომ „ლენინი ჭკუაზე შეიშალაო", რომ საჭიროა მისი სადმე შორს გადაკარგვა. ლენინის წინააღმდეგ ღმუოდნენ მაშინ მეცნიერების ყველა და ყოველგვარი ადამიანები, როგორც ისეთი ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც ანგრევს მეცნიერებას. მაგრამ ლენინს არ შეეშინდა წასულიყო მდინარების წინააღმდეგ, უძრაობის წინააღმდეგ. და ლენინმა გაიმარჯვა (ტაში).

აი ნიმუში მეცნიერების ადამიანისა, რომელიც გაბედულად იბრძვის მოძველებული მეცნიერების წინააღმდეგ და გზას უკაფავს ახალ მეცნიერებას.

ისედაც ხდება, რომ ზოგჯერ მეცნიერებას და ტექნიკას ახალ გზებს უკაფავენ არა საყოველთაოდ ცნობილი ადამიანები მეცნიერებაში, არამედ მეცნიერულ სამყაროში სრულიად უცნობი ადამიანები, უბრალო ადამიანები, პრაქტიკოსები, საქმის ნოვატორები. აქ საერთო მაგიდას უსხედან ამხანაგები სტახანოვი და პაპანინი. მეცნიერულ სამყაროში უცნობი ადამიანები, რომელთაც არ მოეპოებათ მეცნიერული ხარისხები, თავისი საქმის პრაქტიკოსები. მაგრამ ვინ არ იცის, რომ სტახანოვმა და სტახანოველებმა თავის პრაქტიკულ მუშაობაში მრეწველობის დარგში გადააყირავეს არსებული ნორმები, დადგენილნი მეცნიერებისა და ტექნიკის ცნობილი წარმომადგენლების მიერ, როგორც მოძველებული და შემოიღეს ახალი ნორმები, რომლებიც შეესაბამებიან ნამდვილი მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნებს? ვინ არ იცის, რომ პაპანინმა და პაპანინელებმა თავის პრაქტიკულ მუშაობაში მოდრეიფე ყინულზე გზადაგზა, განსაკუთრებული შრომის გაუწევლად, გადააყირავეს ძველი წარმოდგენა არქტიკაზე, როგორც მოძველებული და შეჰქმნეს ახალი, რომელიც შეესაბამება ნამდვილი მეცნიერების მოთხოვნებს? ვის შეუძლია უარჰყოს, რომ სტახანოვი და პაპანინი არიან ნოვატორები მეცნიერებაში, ჩვენი მოწინავე მეცნიერების ადამიანები?

აი კიდევ რა „სასწაულები" ხდება მეცნიერებაში.

მე ვლაპარაკობდი მეცნიერებაზე. მაგრამ მეცნიერება ყოველნაირია. იმ მეცნიერებას, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, ეწოდება **ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ** მეცნიერება.

ჩვენი მოწინავე მეცნიერების აყვავებისათვის!

მოწინავე მეცნიერების ადამიანთა დღეგრძელობისათვის!

ლენინისა და ლენინიზმის დღეგრძელობისათვის!

სტახანოვისა და სტახანოველთა დღეგრძელობისათვის!

პაპანინისა და პაპანინელთა დღეგრძელობისათვის! (ტაში).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Პ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

თბილისის მშრომელთა სამასათასიან მიტინგზე

ამხანაგებო!

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, — მძიმე გასაჭირსა და უბედურებასთან ერთად, როდესაც საქართველო ხანძრის ალში იყო გახვეული, განადგურებული და დამონავებული მრავალრიცხოვან მტერთა უამრავი ურდოების მიერ, — იცის აგრეთვე საკმაოდ ბევრი ბედნიერი და სასიხარულო დღე, როდესაც ხალხი განდევნიდა ხოლმე თავის მტრებს, როდესაც ძველი ქალაქი თბილისი — საქართველოს დედაქალაქი და გული — კვლავ აღორძინდებოდა ფერფლიდან და საყოველთაო სახალხო ზეიმი მჩქეფარედ მოედებოდა საქართველოს მიწა-წყლის ხეობებსა და ჭალებს.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის წარსულის რომელი სასიხარულო დღე შეიძლება ოდნავ მაინც შეედაროს დღევანდელ დღეს?

არა, არ ყოფილა ასეთი დღეები!

თბილისის მშრომელები, ენთუზიაზმით გამსჭვალულნი, როგორც საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში, გამოვიდნენ დღეს, რათა ცხადჰყონ თავიანთი სიხარული, ერთგულება და სიყვარული დიდი სტალინისადმი, (მქუხარე ტაში. საქართველოს ხალხთა ყველა ენაზე გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!" „ურა!" „ვაშა!" „გაუმარჯოს ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების დიდ შემოქმედს" მქუხარე ოვაცია!.)

ისტორიული მოვლენა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე სასიხარულო ბრწყინვალე ფურცელი ქართველი ხალხის ცხოვრებისა.

უდიდესი გენიოსი, მთელი მშრომელი და პროგრესიული კაცობრიობის იმედი და სიამაყე, სოციალიზმის ქვეყნის ბრძენი მესაჭე — დიდი სტალინი დასთანხმდა კენჭი იყაროს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ქალ. თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში.

უდიდესი, განსაკუთრებით მაღალი პატივი ხვდა ქართველ ხალხს.

თითქმის ორმოცი წლის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ახალგაზრდა სტალინმა პირველმა ააფრიალა საქართველოსა და კავკასიაში მარქს-ენგელს-ლენინის დიადი დროშა, კომუნიზმისათვის ბრძოლის დროშა! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ურა!", „ვაშა!", „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!").

დიდ ლენინთან ერთად ამხანაგი სტალინი აჯანყებდა მეფის ყოფილი რუსეთის ხალხებს თვითმპყრობელობასთან ბრძოლისათვის, კაპიტალიზმთან ბრძოლისათვის. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დროშით ქართველი ხალხი მიდიოდა ცარიზმზე იერიშის მისატანად, მიდიოდა ბრძოლაში „თავის" მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ — ქართველ თავადთა, აზნაურთა, მემამულეთა და კულაკთა წინააღმდეგ.

თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, კავკასიის ყველა უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრებში ამხანაგი სტალინი რაზმავდა მუშებს და ზრდიდა მათ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მშრომელთა ყველა მტრის წინააღმდეგ.

ამხანაგმა სტალინმა აქ, თბილისში დაიწყო თავისი რევოლუციური მოღვაწეობა. (ტაშის გრიალი. მქუხარე ოვაცია, მოისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!").

მაშინ თბილისში არ ყოფილა არცერთი ქარხანა და ფაბრიკა, რომელთა მუშებსაც არ სცნობოდეთ ამხანაგი სტალინი, არ სცოდნოდეთ მისი საორგანიზაციო-საპროპაგანდო მუშაობა, არ ეგრძნოთ მისი ნებისყოფა ბურჟუაზიულ-მემამულურ წყობილებაზე გამარჯვებისადმი.

თბილისის ქუჩებში 1901 წელს ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის პროლეტარიატმა კავკასიაში პირველად გაუმართა აშკარა ბრძოლა ძველ წყობილებას, გამოვიდა რა მძლავრი პოლიტიკური დემონსტრაციით.

და აქ დღეს ამ მიტინგს ცოტანი როდი ესწრებიან ის ძველი მუშები, რომელნიც სტალინის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მუშათა კლასის პირველ რევოლუციურ შეტაკებებში ცარიზმსა და ბურჟუაზიასთან.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, რომელმაც დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და პირველმა ააფრიალა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დროშა, ქართველმა ხალხმა მიიღო თავისუფლება და გამოვიდა ნაციონალური აღორძინებისა, სამეურნეო და კულტურული აყვავების ფართო გზაზე.

სტალინის დროშით საქართველოს მშრომელებმა ისე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, მიაღწიეს ბრწყინვალე, ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას.

დღითი-დღე იზრდება მუშათა მატერიალური კეთილდღეობა, შეძლებული ცხოვრების მწვერვალებისაკენ სწრაფად მიდიან კოლმეურნე მასები. ჰყვავის კულტურა, ფართოდ იფურჩქნება ხალხის შემოქმედებითი ნიჭი, განთავისუფლებული მეცნიერული აზრი, ეუფლება რა ცოდნის მაღლობებს, წარმატებით სწვდება ბუნების საიდუმლოს და აყენებს მას მშრომელი კაცობრიობის სამსახურში.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ აღბეჭდა ჩვენი ქვეყნის ეს უდიდესი მიღწევები.

კომუნისტთა და უპარტიოთა განუყრელმა სტალინურმა კავშირმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში უჩვენა მთელს მსოფლიოს, თუ რა დიდი და ურღვევია ჩვენი სამშობლოს ხალხთა პოლიტიკური და მორალური ერთიანობა.

არაფერს არ შეუძლიან გასწყვიტოს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის კავშირი.

ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებათა განუხრელი განხორციელებით გაანადგურა ხალხის მოსისხლე მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები, მენშევიკები და საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვა აგენტები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალნათ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი მოძრაობა კომუნიზმისაკენ.

თავისი უძლურებით გაავთრებული ბოროტება ფაშისტური ბურჟუაზიისა, რომელიც ამზადებდა სოციალიზმის ქვეყანაზე თავდასხმას, იმსხვრევა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შეურყეველ ძლიერებაზე.

სამხედრო საშიშროებისა და აგრესიული ფაშისტური ძალების წინაშე, ჩვენი დიადი სამშობლო თავისი ძლიერების შეგნებით განაგრძობს თავისი ცხოვრების მშვიდობიანად შენებას მშრომელთა ინტერესებისათვის და ემზადება მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის.

მოზეიმე ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ მან მიიღო დიდი სტალინის თანხმობა კენჭის ყრაზე, იგი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი დეპუტატი იქნება ის, ვინც პირველმა აღმართა საქართველოში თავისუფალი და საამური ცხოვრებისათვის ბრძოლის დროშა. (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ოვაცია. მისასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მამას და მასწავლებელს!" „ვაშა!", „ურა!").

ქართველი ხალხი სიხარულის გრძნობას განიცდის კიდევ იმიტომ, რომ დიდი სტალინის უახლოესმა და ერთგულმა თანამებრძოლმა, მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს მთავრობის მეთაურმა — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა თანხმობა გამოუცხადა აგრეთვე კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში. (მქუხარე ტაში. ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს!", „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს — დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, დიდი რუსი ხალხის ერთგულ შვილს!").

ეს გვავალებს ჩვენ ვამრავლოთ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები, ვამრავლოთ ისინი ბოლშევიკური ენერგიული, ყოველდღიური გულმოდგინე მუშაობით ყველგან და ყოველთვის, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე — ფაბრიკასა და ქარხანაში. ტრანსპორტზე, კოოპერაციასა და ვაჭრობაში, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, მარცვლეულის, მევენახეობის, მეცხოველეობისა და სხვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში, სასკოლო სწავლებასა და ლაბორატორიაში, ყველა დაწესებულებასა და საწარმოში.

ეს გვავალებს ჩვენ დავიცვათ ლენინ-სტალინის პარტიის სიწმინდე, განვამტკიცოთ ხალხთა სტალინური მეგობრობა, განვამტკიცოთ კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკი უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში. (მქუხარე ტაში).

ეს გვავალებს ჩვენ ჩავატაროთ არჩევნები მაღალ დონეზე, მივაღწიოთ იმას, რომ უკლებლივ გამოცხადდეს ყველა ამომრჩეველი საარჩევნო ყუთებთან 12 ივნისს და ხმა მისცეს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ამხანაგებო! გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რათა სახელოვნად გავამართლოთ ის დიდი ნდობა, რომელიც გამოგვიცხადა ჩვენ, მთელს ქართველ ხალხს, მშრომელთა დიდმა ბელადმა — საყვარელმა და მშობლიურმა სტალინმა.

საბჭოთა პატრიოტიზმის სულით გამსჭვალული, საყვარელი სტალინის გარშემო დარაზმული საქართველოს მშრომელები მზად არიან ყოველ მომენტში გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ მტერს, რომელიც გაჰბედავს ხელი აღმართოს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდა საზღვრების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას — ლენინ-სტალინის პარტიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. (ოვაცია. მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატს—დიდ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია, ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე ისმის განუწყვეტელი მისალმებანი: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!", „გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ბლოკს!", „ურა", „ვაშა", „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ ბელადს — მშობლიურ, საყვარელ სტალინს!".**

ოვაცია დიდხანს არ სწყდება. მოედნის კიდის-კიდემდე გაისმის მისასალმებელი შეძახილები დიდი სტალინის პატივსაცემად!).

მოსკოვი

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲓᲘᲓ ᲑᲔᲚᲐᲓᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲡ

ქალაქ თბილისის მშრომელთა სამასათასიანი მიტინგი — დემონსტრაცია, რომელიც შეიკრიბა, რათა გამოჰხატოს თავისი სიხარული და ენტუზიაზმი იმის გამო, რომ მიღებულია თქვენი თანხმობა კენჭი იყაროთ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, — მხურვალე სალამსა და დიდ მადლობას გითვლით თქვენს მიერ გამოცხადებული მაღალი ნდობისათვის.

ლენინ-სტალინის დროშით, დიდი **სტალინის** გენიალური ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა მშრომელმა, მიაღწიეს ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას.

ქართველ ხალხს თავისთვის უდიდეს ბედნიერებად და პატივად მიაჩნია ჰყავდეს თავის პირველ რჩეულებად საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი** და მისი ერთგული თანამებრძოლი, ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაური, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი.**

სიტყვას გაძლევთ მთელი ქართველი ხალხის სახელით, რომ ჩვენი ბოლშევიკური მუშაობით სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისადმი ჩვენი ერთგულებით და ბოლშევიკების პარტიის გარშემო, პარტიისა და ხალხის საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო დარაზმულობით, ჩვენი მზადყოფნით — გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყოველ მტერს, — გავამართლებთ ჩვენთვის გამოცხადებულ მაღალ ნდობას.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურს, **ლენინ-სტალინის** დიად პარტიას!

გაუმარჯოს ძლიერი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვს!**

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა საყვარელ ბელადს, მეგობარსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ, დიდ **სტალინს!**

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

10 მაისს მწერალთა კავშირის სხდომის დარბაზი გაიჭედა წინასაარჩევნო კრებაზე მოსული მწერლებით და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომლებით. სხდომა გახსნა მწერალთა კავშირის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ს. წვერავამ, რომელმაც აუწყა რა ამრჩევლებს ამ კრების დანიშნულება, მოუწოდა მწერლებს და ლიტ. ორგანიზაციის თანამშრომლებს აქტიურად ჩაებან საქართველოს უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კამპანიაში.

შემდეგ სიტყვა წინადადებისთვის ეძლევა პოეტ სიმ. ჩიქოვანს.

— საქართველოს საბჭოთა მწერლობას—ამბობს ამხ. ს. ჩიქოვანი—არ შეუძლია არ გამოსთქვას დღეს თავისი ულრმესი კმაყოფილება იმის გამო, რომ მას საშუალება ეძლევა თავისი ხმა შეუერთოს ორდენოსანი საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობის უმხურვალეს და უგულითადეს მისწრაფებას. წინადადება შემომაქვს ჩვენი საარჩევნო უბნიდან საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ის, ვინც ჩვენი დიდი სამშობლო მიიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე, ის, ვინც შექმნა ბედნიერი და საამური ცხოვრება მილიონებისათვის, ის, ვინაც საბჭოთა ხალხებს მოუპოვა თავისუფალი განვითარების განუსაზღვრელი შესაძლებლობა, ის, ვინც შექმნა მშრომელი ადამიანის უფლებათა უდიდესი ხარტია, ის, ვინც ხელმძღვანელობს მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლას სოციალურ და ნაციონალური განთავისუფლებისათვის. წინადადება შემომაქვს ჩვენი საარჩევნო უბნიდან საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული იქნას ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი.**

ამხ. სიმონ ჩიქოვანის ამ წინადადებას კრება ხვდება ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ოვაციებით. მქუხარე ტაშის გრიალში წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ა. გომიაშვილი.

— წინადადება შემომაქვს ჩვენი საარჩევნო უბნიდან, — ამბობს იგი,—ჩვენს კანდიდატად დასახელებული იქნას გამობრძმედილი სტალინელი, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილი, დიდი ბელადის ღირსეული თანამებრძოლი ამხ. **ლავრენტი ბერია,** რომლის ხელმძღვანელობით ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა არნახული გამარჯვებები ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში და რომლის მზრუნველობით და მფარველობით გაიფურჩქნა და აყვავდა ქართული საბჭოთა ხელოვნება, ქართული მეცნიერება, ქართული ლიტერატურა.

მთელი კრება ფეხზე დგება და ხანგრძლივი მქუხარე ტაშის ცემით დასტურს აძლევს ამხ. გომიაშვილის წინადადებას.

სტალინური კონსტიტუცია არის ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის გამომხატველი და განმამტკიცებელი უდიდესი დოკუმენტი,—ამბობს ამხ. ვ. გაფრინდაშვილი. იგი საბჭოთა კავშირის ყოველი ხალხის შვილს უფლებასა და საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. იგი ჩვენ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეებს გვაძლევს საშუალებას ერთხელ კიდევ მოვახდინოთ მოძმე ხალხებისადმი ჩვენი მეგობრობისა და სიყვარულის დემონსტრაცია. წინადადება შემომაქვს ჩვენი საარჩევნო უბნიდან საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას აზერბაიჯანის ხალხის, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის სასახელო ხელმძღვანელი, გამობრძმედილი ბოლშევიკი ამხ. **ბაგიროვი.**

ამხ. ვ. გაფრინდაშვილის ეს წინადადებაც ერთსულოვანი მქუხარე ტაშისცემით იქნა მიღებული.

დიდხანს არ ცხრება ტაში და ვაშას ძახილი, როცა კრება ისმენს დიდი **სტალინისადმი** და **ლავრენტი ბერიასადმი** გასაგზავნი დეპეშების ტექსტს, სადაც გამოთქმულია მთელი ქართული მწერლობის ერთსულოვანი სურვილი და თხოვნა მათდამი, რომ განაცხადონ თანხმობა საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატობაზე ჩვენი საარჩევნო ოლქიდან.

ამავე სხდომაზე კიროვის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე დასასწრებლად არჩეულ და გაგზავნილ იქნა ათი მწერალი.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ხელოვნების მუშაკთა სახლში 13 მაისს მოეწყო უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი მხატვრული საღამო. მოხსენება არჩევნების შესახებ გააკეთა ამხ. შალვა რადიანმა. მან გააშუქა საბჭოთა არჩევნების პრინციპები, აღნიშნა პარტიელთა და უპარტიოთა ფართო სტალინური კავშირი და ფართოდ შეეხო საბჭოთა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის აყვავების ფაქტებს.

ორდენოსანმა მსახიობმა ემ. აფხაიძემ ხელოვნების მუშაკებს ამცნო დიდი ბელადის **სტალინის** და მისი თანამებრძოლის **მოლოტოვის** თანხმობა, კენჭი იყარონ, როგორც საქართველოს უმაღლეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ქალ. თბილისში, ამხ. სტალინმა — ლენინის საარჩევნო ოლქში, ხოლო ამხანაგ მოლოტოვმა — სტალინის საარჩევნო ოლქში, რასაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით და ფეხზე ადგომით შეეგება. გაისმოდა შეძახილი „გაუმარჯოს დიდ ბელადს სტალინს და საბჭოთა მთავრობის მეთაურს მოლოტოვს!".

მოხსენების შემდეგ შესდგა მხატვრული საღამო. პროგრამას ხელმძღვანელობდა რესპუბ. სახ. არტ. ორდენოსანი ემ. აფხაიძე. ესტრადაზე გამოვიდა ვოკალური ანსამბლი კომპ. ვ. ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც დიდი მხატვრული გემოვნებით შეასრულა რუსული, უკრაინული და ქართული კომპოზიტორების ნაწარმოებნი. წარმატებით გამოვიდნენ საესტრადო ნომრებით მსახიობები შ. ნაკაშიძე, ემ. აფხაიძე, სტ. ჯაფარიძე, გ. საღარაძე, რესპ. სახ. არტ. ვ. ანჯაფარიძე, მსახიობები — ვ. გოძიაშვილი, ოლია დოლიძე, გ. შავგულიძე, ალ. გომელაური, ლ. ვრუბლევსკაია, ა. თოიძე, მოცეკვავე დ. ჩიკვაიძე და სხვები. დასასრულ მოეწყო საერთო ცეკვა.

ფართოდ გავშალოთ აგიტაცია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. გავაცნოთ ამომრჩეველთა მასებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების ცხოვრება და მოღვაწეობა.

ილო მოსაშვილი

ძველი ლიტერატურული ინტელიგენციის იმ ფართო ფენის სულისკვეთება, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება სოციალისტურ რევოლუციამდე დაიწყო, რომელმაც დიდხანს ეძება ხალხთან მისასვლელი გზები და ამ ძებნაში გამოამჟღავნა რყევა, მაგრამ რომელმაც უკანასკნელი წლების მანძილზე, სოციალიზმის ბრწყინვალე წარმატებებისა და ჩვენი ხალხის ცხოვრების უმაგალითო აყვავების შედეგად, ნათლად დაინახა, რომ ისტორიული ჭეშმარიტება მხოლოდ მუშათა კლასის მხარეზეა, მხოლოდ ხალხის ბანაკშია კულტურისა და მხატვრული შემოქმედების მშობლიური კერა და ნოყიერი ნიადაგი, — აი ეს სულისკვეთება მკაფიოდ გამოსთქვა ილო მოსაშვილმა თავის ლექსში „ოქტომბრის თაობას“. ამ ლექსში პოეტი ესაუბრება მსოფლიო ისტორიაში ყველაზე უფრო ბედნიერ თაობას, ოქტომბრის თაობას და იმავე დროს თავისი ლიტერატურული წარსულის დახასიათებასაც გვაძლევს. პოეტი შენატრის იმ თაობას, რომელიც სოციალიზმს აშენებს, ხელმეორედ მიწაზე „ქარავას უდაბნოებში წაშლილ ქალაქებს“ და სწერს „კედლებით, რკინით, აგურით ახალი ქვეყნის ქორონიკონებს“. ამ თაობისა და საერთოდ სოციალიზმის ადამიანების დაუცხრომელ შემოქმედებით საქმიანობაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა პოეზია, რომლის ერთერთი ღირსეული წარმომადგენელიც ილო მოსაშვილია.

მოსაშვილი, როგორც პოეტი, პროლეტარულ რევოლუციაში არ დაბადებულა. მისი შემოქმედების პირველი პერიოდი შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც რომანტიული გამოთხოვება ძველ სოფელთან, გამოთხოვება იდილიურ ქვეყანასთან, რომელიც პოეტს კონკრეტულად ესახებოდა როგორც პატრიარქალური სილამაზე პირვანდელი და ხელუხლებელი უღრანი ტყეებისა, ამწვანებული მინდორ-ველებისა, იალაღებისა და სოფლის უბრალო, სადა, გარეგნულ ბრწყინვალებას მოკლებული ცხოვრებისა, პოეტის ფანტაზია იმ ხანებში დასტრიალებდა და ეტრფოდა „მწყემსთა კარვებსა“ და „ლასტის ქოხებს“, ადამიანებს, რომელნიც იზრდებოდნენ ბუნებასთან ახლო. მოსაშვილი სწერდა მაშინ სოფლის შესახებ:

„თვალი შორიდან შენს ქედებს იჭერს,
ფიქრში ელავენ ლასტის ქოხები,
ვხედავ მომავალ ნიშნობის ბიჭებს
ნუშის გულების ახალოხებით“.

და შემდეგ მეორე ლექსში — „ბარათში“ ვკითხულობთ:

„მინდ ახლა მწყობრად ისმის მაყრული,
ძღვენს ამზადებენ ნათლიდედები,
და გოგონები თმა-გადაკრული
ლობესთან სხედან, როგორც მტრედები.
მინდა მანდ ვიყო, წუთით, დროებით,
ცას ქვეშ, — გულღია... მეფე...
უფალი...
მხრებზე მეხუროს თეთრი რტოებით
ნუში, ტყემალი და ალუბალი“.

ასეთი იყო პოეტის შემოქმედების თითქმის მთავარი მოტივი ამ ათითხუთმეტი წლის წინად. რომ ამ მოტივებზე და სახეებზე გაჩერებულიყო მოსაშვილი, ის, მართალია, საინტერესო პოეტად დარჩებოდა, მაგრამ არ ექნებოდა მძლავრი საკუთარი ხმა და ფართო საზოგადოებრივი, პოეტური რეზონანსი. ნაზი, ლირიკული ხმის დარბილება და ვაჟკაცური პათეტიურობა აქ ერთი მეორეს სცვლიდა. მოსაშვილის მაშინდელი პოეზია თავისუფალი არ ყოფილა სევდისა და მჭმუნვარებისაგან, მაგრამ ეს არ იყოს ის სევდა და პესიმიზმი, რომლის დამყნასაც ქართულ პოეზიაში სიმბოლისტები და ექსპრესიონისტები ცდილობდნენ. მოსაშვილის ლექსებში სოფელი დანახული იყო არა ინდივიდუალისტისა და ესთეტის თვალით, არა როგორც ეგზოტიკა, არამედ თავისი რეალური სახით და იმ შემოქმედებითი გაღვიძებით, რომელიც სოფელში გამოიწვია ახალმა ცხოვრებამ. ამ ხალხურ და დემოკრატიულ ტენდენციას პოეტის შემოქმედებაში აძლიერებდა სულიერი მემკვიდრეობა, მიღებული არა დეკადანსისაგან, არამედ ქართული კლასიკური მწერლობისაგან, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველასაგან. ილო მოსაშვილმა სიმბოლიზმისა და სხვა იზმების ზეგავლენას თავი აარიდა იმით, რომ არ დაჰკარგა ძირები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა, შეინარჩუნა კლასიკოსებიდან მომდინარე ტრადიციები.

ასე რომ ილო მოსაშვილს უტრადიციოდ და უწინაპროდ არ დაუწყია თავისი პოეტური შემოქმედების გზა, მაგრამ ცნობილი და ჭეშმარიტი დებულებაა, რომ ყოველი ახალი პოეტი, რომელსაც თავისი კვალი დაუმჩნევია ლიტერატურის ისტორიაში, არასოდეს არ შემოზღუდულა მარტო წარსულიდან გადმოცემული მემკვიდრეობით. მას თავისი ორიგინალური სახე მოუპოვებია თავის ლექსზე, სიტყვაზე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, უჩვენებია მკითხველისათვის სინამდვილე იმ კუთხით, იმ გაშუქებით, რომელიც მისი წინა თაობისათვის უცნობი იყო, რომელიც ჯერ არა სჩანდა იმ ლიტერატურაში, რომლის მხრებზედაც პოეტი გაზრდილა. ეს ორიგინალური სახე, ორიგინალური ლექსი, თავისი საკუთარი ადგილი ქართულ პოეზიაში ილო მოსაშვილმა საკმაოდ კარგა ხანია მოძებნა და დაიმკვიდრა.

საინტერესოა ამ მხრივ მოსაშვილის ლექსები ძველი ქართული პოეზიის ყველაზე უფრო ტრადიციული თემების — საქართველოს ბუნების, არაგვისა და ალაზნის, მტკვრისა და ტფილისის შესახებ. ნ. ბარათაშვილისა, ვ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძისათვის ეს იყო სიმბოლოები გაუხარელი ქართლის ბედისა, ესენი იყვნენ უტყვი მოწმენი საქართველოს შავბედითი ისტორიისა. ახალ საბჭოთა პოეზიაში კი ისინი ხდებიან სიხარულის, ბედნიერებისა და სამშობლოს უნაზესი სიყვარულის სიმბოლოებად. და მოსაშვილის პოეზიის მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, იმაშია, რომ იგი გვიჩვენებს ისტორიის მძლავრ მობრუნებას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა და რომელმაც „მუდამ ჟამს მგლოვიარე არაგვის“, ალაზნისა და მათი ხეობების მიწა-წყალი სიხარულისა და ბედნიერების ასპარეზად აქცია. საბჭოთა პოეზიისათვის დამახასიათებელი და გასაგებია ის მშობლიური სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისადმი, ის ტრფიალი საქართველოს ბუნებისადმი, რომელიც მოსაშვილის ლექსებში ისმის, ტრფიალი იმ ქვეყნისა და ხალხისადმი, რომელმაც ისტორიაში ქედი არასოდეს არ მოუხარა მონობას, გამოატარა წარსულის ცხოვრების წყვდიადში თავისი გატაცების ცეცხლი და თავისუფლების მოყვარე ოცნებები, რომელმაც მისცა მსოფლიოს დიდი **სტალინი.** მოსაშვილის შემოქმედება ღრმად ხალხურია იმიტომ, რომ იგი გამოსთქვამს იმ სიყვარულს ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლებისადმი, რომელსაც განიცდის თვით ხალხი. ამიტომ არის მოსაშვილის პოეზია, მისი ძარღვიანი ლექსი ორგანიულად დაკავშირებული ჩვენი ხალხის გულთან.

მაგრამ სამშობლო მარტო მთები და მდინარეები, მარტო ველები და დაბა-ქალაქები არ არის. სამშობლო პირველ რიგში ადამიანებია. საბჭოთა [illegible] ადამიანების[illegible] ერთი მგზნებარე [illegible] მოსაშვილმა. აღსანიშნავია [illegible] მოსაშვილი სწერს:

„ჩემო სამშობლოვ. არ უმღერია
შენს შვილს არც ხნულში და არც
ყანაში,
რამდენი წვეთი შხამი ერია
შენი დედების იავნანაში.
. . . .
ვის არ უთელავს, ვის არ ულახავს
შენი ველების რბილი ბალახი,
შენი ხანძრები ვის არ უნახავს,
შენი დამწვარი დაბა-ქალაქი?!“

ეს ძველი საქართველოს სურათია, იმ საქართველოს სურათი, რომლის ტანჯვას და წამებას დასტიროდა არა ერთი თაობა, იმ საქართველოსი, რომელსაც ხანძრების ბოლში ახვევდნენ ხან რომის იმპერატორები, ხან თურქეთის სულთანები, ხან სპარსეთის შაჰები და, ბოლოს, მეცხრამეტე საუკუნეში — მეფის გენერლები.

წავიდა და არასოდეს აღარ დაბრუნდება ის წამებისა და ტანჯვის წლები! და რა უნდა იყოს თანამედროვე პოეტისთვის უფრო აღმაფრთოვანებელი, ვიდრე ამ ოდესღაც ნახანძრევი, ოდესღაც დაჩაგრული საქართველოს აღდგენა, აყვავება და ბედნიერება?

ეს ბედნიერება უდიდესი შთამაგონებელი ძალაა მოსაშვილის პოეზიაში.

ამიტომ სწერს პოეტი ახალ საქართველოზე:

„შენი ბაღები ვის არ უნახავს,
შენი ავსილი დაბა-ქალაქი“.

მოსაშვილის პოეზიაში უფრო მეტია „ხედვა“, ვიდრე „სმენა“, ამიტომ არის პოეტი ჩვენი სამშობლოს ბუნების ერთ-ერთი ძლიერი მხატვარი. ქართული პოეზიის პალიტრა მოსაშვილმა გაამდიდრა იმ ნათელი ფერებით, რომლებიც უხვად მოიპოვება საქართველოს ბუნების წიაღში. ცნობილია, რომ საბჭოთა პოეზიის განვითარების პირველ პერიოდში „პროლეტკულტის“ ხანაში იყო ტენდენცია ერთგვარი ასკეტური განწყობილებისა ბუნების, პეიზაჟის მიმართ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი. რატომ უნდა დახუჭოს თვალი პოეტმა ბუნების სილამაზის წინაშე? ილო მოსაშვილმა ამ მხრივ თავიდანვე სწორი პოზიცია აირჩია. მისი პეიზაჟებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „არაგვს“, „ლექსები ალაზანზე“, „ქალაქი ტყეში“, „კოლხიდის დილა“, „პირველი ქუხილი“ და სხვა.

სამშობლოს სიყვარულის თემა იმავე დროს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის თემაა. ამიტომ არის, რომ სამშობლოზე დაწერილ ლექსებთან ერთად მოსაშვილი სწერს ლექსების ციკლს „მხედრული სიმღერების“ სახელწოდებით. ამ ციკლიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „მოსაზღვრის სიმღერა“. შეუვალია ჩვენი საზღვრები, რადგან მას იცავენ სტალინური რწმენით გასალკლდევებული მებრძოლები, — ასეთია ამ ლექსის აზრი. საბჭოთა მოსაზღვრეებს არ გამოეპარებათ ოდნავი გაფაჩუნებაც კი ჩვენი სამშობლოს საზღვარზე:

„და დაეცა მტერი მიწას
ამოთხრილი ფესვით.
ძირს გდია და გულის ფიცარს
ებჯინება კვნესით“.

ლექსების ამ ციკლში აღსანიშნავია აგრეთვე „მეზღვაურული“ და „მფრინავის სიმღერა“. უნდა აღინიშნოს, რომ „მეზღვაურული“ პირველი ლექსია, რომელიც ქართულ ლიტერატურაში დაიწერა ჩვენი გმირული სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ. ყველასათვის ცხადია ამ თემის აქტუალობა და სიმახვილე. რევოლუციური თავგანწირვისა და ენტუზიაზმის ბრწყინვალე შა[illegible] სწერს:

„მაშ ბუში ჯაჭვი ღუზას,
პერანგები შეხსენ ლულებს,
შფოთიანი ზღვა რას უზამს
მეზღვაურთა რკინის გულებს.
. . . .
კედლივით მივცეთ მხარი,
რას დააკლებს ქარი საჭეს,
მოუაროთ მშობელ მხარას
თითო ხნულს და თითო ნაჭერს“.

და როგორც საბჭოთა მფრინავები ლაჟვარდოვან ციდან სიყვარულით დასცქერიან სამშობლო მიწას, ისე მეზღვაურები მოხიბლულნი არიან იმ ზღვებისა და სანაპიროების სიახლოვით, რომლებსაც ისინი იცავენ და რომლების განივებშიც ისინი დასცურავენ:

„მივსცეთ მხარი, ხედავთ, როგორ
ყვავილებში მიწა მოჩანს,
ეს კოლხიდის ბაღში გოგო
გვიფრიალებს წითელ დროშას.
ჩვენსკენ მოჰქრის, ტალღამ ცემით
სანაპირო შემოსცურა,
ჩქარა ღუზა, ჩვენი გემი
სამშობლოში შემოსულა“.

მოსაშვილის პოეზიის მაგალითზე ნათლად მტკიცდება, რომ საბჭოთა პოეზიისათვის უცხოა ეთნოგრაფიული შეზღუდულობა. პოეტისათვის ერთნაირად საყვარელი და მახლობელია ყველა კუთხე ჩვენი სამშობლოსი, თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირისა. მოსაშვილის ლექსებში მკვეთრად გამომჟღავნდა საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერნაციონალური ბუნება, ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ლექსი „საძმო საფლავი“. ამ ლექსში პოეტი მოგვითხრობს თავგანწირული შვიდი მებრძოლის შესახებ, რომელნიც დაიღუპნენ ბელორუსიის ხალხის მოსისხლე მტრებთან ბრძოლაში. პოეტი გადმოგვცემს, თუ როგორი მზრუნველობით უვლის ქალაქი ამ შვიდი მებრძოლის ძმათა სასაფლაოს და ხსოვნას, როგორი მოწიწების გრძნობით უახლოვდება ბელორუსიის ახალი თაობა ამ გმირთა საძმო საფლავს:

„და ვაჟკაცები ჩვენი დროისა
საძმო საფლავზე კოცნიან მამებს“.

მოსაშვილის პოეზიის პათეტიურობა უმაღლეს მწვერვალს აღწევს ლექსში რესპუბლიკური ესპანეთის შესახებ. პოეტი ამ ლექსში ხატავს დოლორეს იბარურის სახეს და მეტად საინტერესო პარალელს ატარებს რუსეთის სამოქალაქო ომსა და დღევანდელი ესპანეთის თავისუფლების დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებს შორის.

ასახო ხელოვნებაში ბელადის სახე — ეს მეტად რთული და იმავე დროს წარმტაცი შემოქმედებითი ამოცანაა. ჩვენმა პოეტებმა ეს ეპოქალური ამოცანა წარმატებით შეასრულეს. ილო მოსაშვილი თავის ლექსებში უმღერის **სტალინს,** როგორც მთელი მშრომელი კაცობრიობის იმედსა და ნუგეშს, თავისუფლების დიადი ქარტიის — ახალი კონსტიტუციის შემომქმედს, სოციალიზმის გამარჯვებათა გენიალურ ორგანიზატორს. პოეტი მიმართავს **სტალინს:**

„... და შენი სახე ცაზე დახვდება
კაცის პირველად გახელილ თვალებს.
დახვდება მხედარს, მეზღვაურს ქარში,
თოვლიან ზვავში დამწყვდეულ ჩობანს,
ამოუდგება ძმასავით მხარში
და ატკივებულ ჭრილობას მობანს.
. . . .
და როცა დილა მთების ფიწალზე
ღრუბლის ბულულებს ლურჯად
შეღებავს,
იგრძნობს სულდგმული დედამიწაზე
შენი გულის და ხელის შეხებას“.

მოსაშვილი ნათლად გვიხატავს მთელი ჩვენი სამშობლოს მშრომელი მილიონების, მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულს დიდი **სტალინისადმი.** იგი აგვიწერს, თუ როგორ მღერის **სტალინზე** სიმღერას „მფრინავი ვარსკვლავებთან“ და „მეხრე ურემზე“, როგორ დასძახის „მწყემსი მეფარე“ ჩონგურზე ლექსებს საყვარელი ბელადის სადიდებლად.

ლენინ-სტალინის პარტიისადმი ულრმესი ერთგულების გრძნობით არის აღსავსე ილო მოსაშვილის ლექსი „ლავრენტი ბერიას“. ეს ლექსი გვიხატავს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის, ამხანაგ **სტალინის** მოწაფისა და თანამებრძოლის, ფოლადისებური სტალინელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** პორტრეტს. მოსაშვილი ცდილობს დახატოს ამხანაგ **ბერიას** პორტრეტი ორდენოსან საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ფონზე. იგი გვიჩვენებს, როგორ დასტრიალებს ნაცადი ბოლშევიკის მზრუნველი თვალი ჩვენი ცხოვრების ყველა კუთხეს და როგორ აწრთობს, აფოლადებს საბჭოთა ადამიანებს. პოეტმა ამ ლექსით გვიჩვენა სრულყოფილი, დასრულებული სახე ბოლშევიკისა, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნად ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ზრუნვა დაუსახავს. ეს ბოლშევიკის ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე, სახე ლენინ-სტალინის ფოლადისებური გვარდიის ღირსეული წარმომადგენლისა, რომ ასეთი ადამიანის სახე გამოჰხატო, ამისათვის უბრალო ოდური ჟანრი ვიწროა და შეუფერებელიც. მოსაშვილი ამ გზით არ წასულა: მან დაგვიხატა **ბერიას** პორტრეტი იმ ისტორიული საქმეების პოეტური განსჭვრეტით და გამოხატვით, რომლების სახელოვანი მეთაური და ორგანიზატორი იგი არის. ამ ლექსში განსაკუთრებით მახვილ პოეტურ ფორმულაშია ჩამოყალიბებული ბოლშევიკური მზრუნველობა ადამიანებზე. მოსაშვილი სწერს:

„ის მივა კაცთან, გაუწევს ძმობას,
გასინჯავს როგორც ფოლადის ნაჭერს,
და ადამიანს — გუშინდელ ჩობანს
მიანდობს ქვეყან მანქანის საჭეს“.

მხატვრულ სახეებს ფოლადისებური ბოლშევიკის სახის გამოკვეთისათვის პოეტი სამართლიანად ეძებს და პოულობს საქართველოს აყვავებული ბაღებისა და ვენახების ასახვაში, სოციალისტურ მინდვრებზე, სადაც ზღვა მოსავალია დაგროვილი, ტფილისის ქუჩებზე, სადაც გაქრნენ ასანთის კოლოფების მსგავსი სახლები და მათი ადგილი დაიჭირეს ულამაზესმა, მონუმენტალურმა, ესთეტიურად სრულყოფილი კონსტრუქციის შენობებმა, ამიტომ არის, რომ ხსენებული ლექსი უდიდეს პოლიტიკურ სიმახვილესთან ერთად ღრმა ემოციურ და ნამდვილ ხალხურ ხასიათს ატარებს. ამ ლექსში მოსაშვილი სწერს:

„მოდის ათასი მეხრე, მეურმე,
როგორც მეთაურს უთხრას მადლობა,
მოდის მჭედელი და კოლმეურნე.
რომ დაუფასოს ვაჟკაცს სარდლობა.
უთხრას: ბედნიერ სამშობლო მიწის
იმედად მუდამ გვიძღოდე წინა
შენ დიდ ბელადთან შეკრული ფიცით
და მისი ხელით ნაჭედი რკინა.
შენ დაგვიყენე დოვლათი ხნულში,
მიწას ჩაუდგი სინათლის წვენი,
შენ ხარ რაც ნატვრა გვქონია გულში,
და გამარჯვებაც შენა ხარ ჩვენი“.

საბჭოთა ჰუმანიზმის ცნობილი დებულებაა, რომ შეუძლებელია სრულყოფილად და მთელი გულით გიყვარდეს ადამიანი, თუ იმავე დროს არა გძულს მტერი. მახვილი პოლიტიკური პოეტისათვის არა მარტო ეს ულრმესი სიყვარულია დამახასიათებელი, მან იცის უკიდურესი სიძულვილიც. კლასობრივი მტრისადმი სიძულვილით გაჟღენთილია ილო მოსაშვილის ლექსი „სიტყვა სასამართლოში“. ამ ლექსის ყოველი სიტყვა გაისმის როგორც მკაცრი და სამართლიანი სასიკვდილო განაჩენი ჩვენი სამშობლოსა და ხალხის მტრების მიმართ. პოეტი სწერს ხალხის მტრების შესახებ:

„და ერთი რისხვით აშლილი ერი,
როგორც ყოველთვის ურყევი დღესაც,
შენვე გიბრუნებს მოწამლულ წვერით
ხანჯალს, რომელსაც საჩვენოდ ლესავ“.

მამაცი საბჭოთა ადამიანები მიუვალ კედლად არტყიან სამშობლოს და

„სადაც კი სადმე კვალი ატყვია,
სთხრიან მიწიდან შხამიან ძირებს“.

ჩვენი სამშობლოს სიუხვემ და მრავალფეროვნებამ, შრომისა და ბრძოლის პათოსმა თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა ილო მოსაშვილის პოეზიაში. ეს არის ნიმუში ნამდვილი საბჭოთა პოეზიისა, რომლის დამახასიათებელია თემატიური მრავალფეროვნება და პოლიტიკური სიმახვილე, რომელსაც შესწევს მხატვრული ძალა, გადმოგვცეს, თუ როგორ ცხოვრობენ, იბრძვიან და მუშაობენ საბჭოთა ადამიანები ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გ. ნატროშვილი

ყაზახეთის სახალხო მომღერალს ჯამბულს შეუსრულდა პოეტური მოღვაწეობის 75 წელი

სულეიმან სტალსკის

ჯამბული

სულეიმან აშუღო, დაღესტნის ბულბულო,
რა კრიმანჭულია მშობლიურ მხარეში?
გამქრალა ძველი დრო უშვერი, უგულო,
ყორნების სიბნელე, მხეცების თარეში!

გახედე: ჰყვავიან მთები, ყორღანები,
მეტის ხმით დავჭიმოთ ჩანგების სიმები,
ვადიდოთ საბჭოთა ბაღები, ყანები,
რომ გაბრწყინვებულან მზის ოქროს სხივებით,
დე, ყველგან ისმოდეს სიმღერა ბულბულის,
იქ, სადაც გაშლილან ტულიპი, სუმბული!

ცა ფირუზოვანი დაჰყურებს ქვეყანას,
მზეს ბნელი ღრუბელი შორს გადაეყარა.
ეს იყო ლენინი, ეს არის სტალინი,—
ბნელს რომ დაეჯახნენ მიწის ტიტანივით,
ხალხს მისცეს ცხოვრება ტკბილი, საამური,
მიწას ბარაქალა, ბულბულს — სალამური!

სულეიმან აშუღო, დაღესტნის ბულბულო,
დღეს შენი სიმღერა ჰქრის, როგორც ალამი,
დღეს ჩვენთვის ჰყვავიან ტულიპი, სუმბული,
მსურს გულით მოგიძღვნა უსაზღვრო სალამი!

დღეს ხალხი როდია უღელში ჩაბმული,
აყვავდა სიცოცხლე ბაღივით მოვლილი,
სულეიმანს ბანს აძლევს აკინი ჯამბული,
ვერცხლოვან ჭაღარით თმა გადათოვლილი!

დღეს ჩვენი სიმღერა, ერთად დანარწევი,
ისმის, რომ ადიდოს არწივთა არწივი,
ვინც არის ჩვენი მზე და სიბრძნით სავსეა,
ვინც თავის სიმტკიცით ფოლადის მსგავსია,
ვინც ჩვენთვის შვებაა და მტრისთვის თავზარი,
ვის ძალას ვერ წვდება მთა უზარმაზარი!

ჰქუხს ჩვენი სიმღერა სტალინურ მხარეში,
სად სიხარულია, დროშების თარეში,
სულეიმანს გასძახის მოხუცი ჯამბული:
დღეს ხალხი როდია უღელში ჩაბმული,
მო, ბულბულებივით ყელი მოვიღეროთ
და მამა სტალინზე დიდება ვიმღეროთ!

სთარგმნა **ა. მაშაშვილმა**



სიმღერა ყრილობისადმი

ჯამბული

ტრამალების სალამი სამშობლოს მესვეურებს!
დომბრით მოდის აკინი, სიმღერას ამზეურებს.

აყვავებულ აულთა ფიქრებში ვარ ჩაბმული,
მათ მიერ არჩეული დელეგატი ჯამბული.

მე ეს დომბრა და გული ცხელი მომიტანია,
სულ ახალ სიმღერების ძღვენი მომიტანია,

სიმღერები ჰყვავიან, მზის სხივებში თბებიან,
უდიდესო ყრილობავ, შენთვის მომირთმევია!

მე გავსცქერი ტრამალებს, —
ბალახს ცეცხლი სცვიოდა,
მიტოვებულ კარავში ღამით ჭოტი ჰკიოდა.

დასტიროდა ყორღანი თავის განმარტოებას,
ხალხი გულით სწყევლიდა ავბედიან დროებას.

ბრბოს თავისკენ ეძახდა ხმა ქააბელ ქადაგთა,
ლოცულობდნენ მუხლმოყრით ქვის დიაცის ქანდაკთან.

საფლავების ბალახში მორიელი ბუდობდა,
ხალხი შავ დღეს სწყევლიდა, ხალხს სინათლე უნდოდა.

უთვისტომო მხედარი მწარე სიტყვებს ამბობდა,
უიმედო სიმღერით ქვიშას ცრემლით ალბობდა.

დაღლილი ქარავანი მტვერში იგუდებოდა,
ხალხისაგან წყეული ჟამი გვირისხდებოდა.

მირაჟიან ნისლებში წყარო სჩქეფდა ხევიდან,
ქარავანის გამყოლი თვის გაჩენას სწყევლიდა.

მას კი ქარი აგლეჯდა უკანასკნელ სამოსელს, —
დრო ერთგვარად სჩაგრავდა დილით და საღამოზე.

დღეს გავსცქერი ტრამალებს, —
თითქო სხვა მზე ჰფერავსო,
მე გავსცქერი ტრამალებს, —
ჩემს ტრამალებს ვერა ვსცნობ.

სადაც ქვიშა აქლემთა ნატერფალს ინახავდა,
იქ ხეხილის ბაღები რა სიჩქარით აყვავდა!

სადაც ჯეონს ქარბუქი ქვიშის ღრუბელს ახლიდა,
ცხენის ჯოგი საზრდოობს ნამიან ბალახითა.

სადაც მშიერს არ ჰქონდა ლუკმა-პურის ნასახი,
იქ დღეს დოვლათიანობს ბედნიერი ყაზახი.
სადაც ცხენი ღოღავდა ჯაგლაგა და გვიანი,

იქ დღეს ჰაერს მიარღვევს რაში ოქროსფრთიანი.
სადაც ხანი მეფობდა და მდიდრების კრებული,

სადაც ძაღლსაც ცხოვრება ჰქონდა გამწარებული,
სადაც ბნელი სიკვდილი ხალხის გულზე დგებოდა.

სადაც ხალხის სიმღერა მწარე ოხვრით კვდებოდა,
სადაც გლეჯდა ჩვენს თვალებს სვავი ორთავიანი, —

ამობრწყინდა კავშირის რესპუბლიკა მზიანი.
ელვარებენ ჰაერში თერთმეტ ერის ალმები,

მე სტალინის ბრძნულ კანონს გულით მივესალმები,
ხარობს ჩვენი ქვეყანა, უხვი, დოვლათიანი.

სილამაზით სავსეა მებრძოლი და მშრომელი
ჩვენი ვრცელი ქვეყანა, საზღვარმიუწვდომელი.

სულ წინ მიეშურება მთის ორბივით ფრთამარდი
ჩვენი ლაღი ქვეყანა, მხნე და თავისთავადი.

ვით არალის ტალღები ქარში აზვირთებული,
ჩვენი დიდი ქვეყანა მძლავრია და ქებული.

ამაყ რაშის სისხლივით სჩქეფს და ელავს ყველგან
ჩვენი გასაკვირველი, საოცნებო ქვეყანა.

ჩვენი სულის სიმღერებს ყველას გავაგებინებთ, —
წკრიალებენ ჰაერში ოქროს უზანგებივით.

მუდამ ასე იქნება გმირთა ნაამაგარი
საყვარელი სამშობლო, მისი მზიან მთა-ბარით,
ჩვენი დიდი სტალინის სიყვარულით გამთბარი.

სთარგმნა **ალ. აბაშელმა**

ჯამბული

რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე მოსულ მწერალთა შორის, რომელნიც ჩამოსულიყვნენ მოძმე რესპუბლიკებიდან, დიდი ყურადღება მიიპყრო თავისი პატრიარქალური გარეგნობით ერთმა ახოვანმა მოხუცმა. ეს იყო ყაზახეთის სახალხო მომღერალი, ლეგენდარული ჯამბულ ჯაბაევი. მისი ლიტერატურული მოღვაწეობის სამოცდათხუთმეტი წლისთავის იუბილის დღეებს ახლა ზეიმობს დიდი საბჭოთა კავშირი.

ჯამბული დაიბადა 1846 წლის თებერვალში ალმა-ატის ოლქის ახლანდელ კასტეკის რაიონში. თავის მოგონებებში ჯამბული ამბობს: „მამა ჩემი, ჯაბაი, [illegible] იყო, [illegible] დახეულ [illegible] სადამდისაც [illegible] ტიტველი ტრამალები მოსჩანდა. მე გავიზარდე იურტაში.“

12 წლის ჯამბულმა დომბრაზე დაკვრა ისწავლა, ხოლო 14 წლიდან იგი თავისი შრომით ირჩენდა თავს. პირველად ის ასრულებდა სხვების სიმღერებს, შემდეგ კი საკუთარს. 70 წელი ცხოვრობდა ჯამბული დამონებულ, კოლონიად გადაქცეულ ყაზახეთში, იგი მოწმე იყო ხალხის ტანჯვისა. ხალხი განიცდიდა ორმაგ ჩაგვრას: ერთის მხრივ რუსეთის ცარიზმის, ხოლო მეორეს მხრივ — ხანების, ბაებისა და მოლების ბატონობისაგან. 70 წლამდე ჯამბული მღეროდა ხალხის ჭირ-ვარამზე, მის იმედებზე და ბრძოლის დაუშრეტელ წყურვილზე. მისი ბიოგრაფი მ. კარატაევი ამბობს: „ჯამბული არის არა მარტო აკინი-იმპროვიზატორი, არა მარტო სიმღერებისა და პოემების მცოდნე, ის არის იმავე დროს მთქმელი, მცოდნე აღმოსავლური პოეზიისა და ყაზახური სახალხო ეპოსისა“.

ჯამბული დაუზოგავად ჰკიცხავდა კოლონიალურ და ფეოდალურ სინამდვილეს. მისი სიმღერა გამსჭვალული იყო უკეთესი მომავლის იმედით. ხალხს უყვარდა თავისი მომღერალი, სამაგიეროდ ბაებს, მოლებს და ცარიზმის მსახურებს სძულდათ იგი. უუფლებობისა და ჩაგვრის უღელი, რომელიც კისერზე ედო ხალხს, ავიწროებდა აგრეთვე უხვად დაჯილდოვებულ ჯამბულს. ჯამბული გმინავდა მონობის [illegible]. ჯამბული ამბობს: „როდესაც მე 55 წლისა შევიქენ, გამიჭირდა, სიბერემ და მძიმე პირობებმა წელში მომხარეს, ჩემი თვალები ჩაჰქრა, ჩემი ხმა დასუსტდა, დომბრის მაგივრად, ხელში მეჭირა ჯოხი, უსაზღვრო ტრამალის ხილვის ნაცვლად ვიწრო ლოგინ[illegible] დავიქანცე და უძლური [illegible] კარგი სიმღერები“.

[illegible] შემოქმედებითი ძალე[illegible] გამოიწვია დიდი [illegible] რევოლუციამ, რომელ[illegible]უფლა ჩაგრული ერე[illegible] ტყვეობისაგან, მისცა [illegible] სოციალისტური [illegible]თვის და დაამკვიდრა [illegible] სტალინური მეგობრობა. [illegible] დაიწყო სიმღერა, იგი [illegible] ბედნიერებას [illegible] და მზით ანთე[illegible]. „როდესაც მე [illegible] შემისრულდა, — ამბობს [illegible] დავინახე ახალი ცხოვრების განთიადი. ქვეყა[illegible] სიმართლე. გავიგონე [illegible] სახელი და ვი[illegible] არმიის ძლევამოსილი [illegible] ჩემს ირგვლივ აღვარდა ისეთი სიცოცხლე, რომლის შესახებ მე მხოლოდ ვოცნებობდი საუკეთესო სიმღერებში, როგორც ოქროს საუკუნეზე.“

სევდა, რომელიც დამახასიათებელია ჯამბულის ძველი სიმღერებისათვის, ახლა ადგილს უთმობს გამარჯვებათა პათოსს, სიამაყისა და აღტაცების გრძნობას. ჯამბული უმღერის წითელ არმიას, საბჭოთა წყობილების დამყარებას ყაზახეთში, მშრომელი ყაზახი ქალების განთავისუფლებას, ბაების ბატონობის მოსპობას, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას. დიდი **სტალინი** არის მზე, რომლითაც სუნთქავს ჯამბულის პოეზია, და რომელიც ასაზრდოებს მას თავისი სხივებით. მისი ლექსი შთაგონებულია ულრმესი და ამაღელვებელი სიყვარულით სტალინისადმი. ჯამბული სტალინთან შეხვედრის შემდეგ თავის თავს ჭაბუკად გრძნობს. ის ამბობს თავის „სიმღერა სტალინზე“:

„შეგვხვდი თუ არა, გარდავიქეც ჭაბუკად ბერი,
. . . .
სასწაულებრივ გაჯეელდა ჯამბული
კვალად,
თითქოს ყუმისით ახმაურდნენ სისხლის მღლები,
თითქოს გასწორდა ხერხემალი, მოხრილი რკალად,
თითქოს ხელახლა მეზრდებიან თეთრი კბილები.
მზეო სტალინო! იბრწყინვალე მზისავე მსგავსად!
კრემლში მოგართვით სიმღერები, გულნი, იანი,
არ იმყოფება ქვეყანაზე სრულიად არსად
შენზე საჭირო ხალხისათვის ადამიანი!“
(თარგმანი კ. ჭიჭინაძისა)

ხალხთა ბელადის დიადი სახე მუდმივი თანამგზავრია ჯამბულის ფიქრებისა და ოცნებისა. ის ეძებს ისეთ შედარებას, ისეთ ეპიტეტს, რომელიც ღირსეულად გამოხატავს ბელადის მშობლიურ სახეს. მან იცის, რომ სტალინში სცოცხლობს ბრძენი ლენინის გული („სიმღერა მოსკოვზე“). ის ამბობს თავის ლექსში „ლენინის მავზოლეი“: „მესმის, როგორ სცემს შენი გული კრემლში: იქ ცხოვრობს შენი საყვარელი არწივი — შენი დიდი მემკვიდრე“.

ჯამბული სტალინს ასეთი მთრთოლვარე სიტყვებით მიმართავს:

„სტალინო! ხალხების სიმღერის მამავ!
სტალინო! ჯამბულის ძლიერო მამავ.“

ჯამბული ეხმაურება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას და ღრმად განიცდის მათ. ჯამბულის სიმღერები ნამდვილად ხალხურია, რადგან ისინი გასაოცარი სიზუსტით გვიხატავენ ხალხის ფიქრებს და სულისკვეთებას. იგი ესალმება ჩვენი ქვეყნის მიღწევებს, რომელნიც ასალკლდევებენ მის ძლიერებას. იგი დაუზოგველი გულისწყრომით ებრძვის ფაშისტურ ბანდიტებს და მათ ტროცკისტულ-ბუხარინულ აგენტებს („რისხვის სიმღერა“). ყველა მის სიმღერაში ვხედავთ პოეტ — პატრიოტს, რომელსაც განუსაზღვრელად უყვარს თავისი დიდი სამშობლო.

ჯამბულის პოეზია ნაციონალურია თავისი ფორმით და ინტერნაციონალური თავისი შინაარსით. იგი „ესპანელ ძმებს“ ეუბნება „ვფიცავ ჩემ სიმღერას, რომ გამარჯვება თქვენი იქნება“. ის ეხმაურება აბისინიის ხალხის ტრაგიულ ბედს, პუშკინისა და რუსთაველის იუბილეებს. რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექსში ჯამბული ამბობს:

„ვიმღეროთ, დე, მიწა მთებიდან
ბარამდი
ბრწყინავდეს, ვით კრემლის დიდება
მარადი,
ბრწყინავდეს იმ კაცის დიდებულ
სახელად,
ვინც მიწას მზიური თვალებით დახედა,
ვინც ხალხში მოჰფინა სიმღერის ფურცლები,
პუშკინი, აბაი, ტარასი, რუსთველი“.
(თარგმანი დ. გაჩეჩილაძისა.)

ჯამბული აღფრთოვანებულ ლექსებს უძღვნის სულეიმან სტალსკის, გასემ ლახუტის. იგი დიდი თანაგრძნობით იხსენიებს უკრაინის პირველ პოეტს შევჩენკოს.

ჯამბულის პოეზია მრავალფეროვანია. ის იკვებება ხალხური შემოქმედებით. მისი სიმღერები მეტად აქტუალურია პოლიტიკურად.

ოთხმოცდა ცამეტი წლის ჯამბული უეჭველად შემდეგშიაც შეჰქმნის ახალ მნიშვნელოვან სიმღერებს. ამის თავდებია ის უკვდავი ლექსები, რომლებითაც გაამდიდრა მან საბჭოთა პოეზიის საგანძური და მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა კავშირის მასებში.

ვ. გაფრინდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულდა 750 წელი დიდი რუსი ხალხის გენიალური ქმნილების „ამბავი იგორის ლაშქრობის“ დაწერის დღიდან

ამბავი იგორის ლაშქრობისა*)

კარგი იქნება, ძმანო, დავიწყოთ
ძველი სიტყვებით მძიმე ამბავი,
თუ ვით ამხედრდა მტერზე იგორი,
გმირი იგორი სვიატოსლავიჩი!
ლექსი კი ესე სჯობს იწყებოდეს
ამადროინდელ ამბის მიხედვით
და არა მსგავსად ბოიანისა,
ოდეს ჯადოქარს და ბრძენს ბოიანს
სურდა ვინმესთვის ლექსთა შეწყობა,
იგი ფიქრებით ტყეს გაეკვროდა,
რუხი მგელივით რბოდა მიწაზე.
ლეგა არწივად ღრუბელს არღვევდა.
მოიგონებდა ძველს თქმულებებსა
შინაურ შფოთზე და გაუშვებდა
ათსა შავარდენს გედის გუნდზედა:
და ის გედიცა, რომელს პირველად
ერთი მათგანი წაეწეოდა,
მყისვე უმღერდა —იაროსლავსა,
ან გმირ მსტისლავსა, ვინც რედედია
დაკლა კოსოგის ჯარის წინაშე,
ან, ლამაზ რომან სვიატოსლავიჩსა.
ჰო, ძმანო, ჩემნო, ეს ბოიანი
არა თუ ათსა ფრთამალ შავარდენს
გამოუშვებდა გედის გუნდზედა:
იგი ჯადოსნურს თავის თითებსა
ცოცხალ სიმებზე წამოაწყობდა,
და სიმებიცა მყის მთავართადმი
ქება-დიდებით აგრგვინდებოდნენ.

აბა, დავიწყოთ ჩვენი ამბავი,
ძმანო, წინანდელ ვლადიმირითგან
თანამედროვე იგორამდისინ,
ვინც გამოჰკვერა ზრახვა ძლიერი,
გალესა იგი გულის მხნეობით,
ბრძოლის წყურვილით სული აღივსო
და მიუსია მტკიცე ლაშქარი,
შემდეგ ყივჩაყთა ვრცელს მიწაწყალს
რუსთა მიწაწყლის დასაცავადა.

მაშინ იგორმა თვალი მიაპყრა
მზეს ბრწყინვალესა და დაინახა:
გადაჰფენია ჩრდილი მზისაგან
მისსა ლაშქარსა თავით ბოლომდე.
და ეუბნება იგი მეომრებს:
„ჩემნო ძმანო და თანამებრძოლნო!
უმჯობესია მტერმა აგვჩეხოს,
ვიდრე წაგვასხას წარტყვევნილები.
მაშ, ძმანო, შევსხდეთ ფეხმალ ცხენებზე
და მყის ცისფერი დონი ვიხილოთ!“
მთავარს ჩაუჯდა გულში სურვილი
გემო გასინჯოს დიდის დონისა,
და ნატვრამ სძლია ზეცის ნიშანი.
ამბობს: „მწყურიან შუბი გავტეხო
მურტალ ყივჩაყთა ველის ბოლოსა
მე თქვენთან ერთად, ჩემო რუსებო!
მინდა შევაკვდე, ან მუზარადით
მდინარე დონის წყალი დავლიო!“
ეჰა, ბოიან! ენაწყლიანო,
ტკბილო ბულბულო ძველის დროისავ!
შენ რომ შეგექო ესე ლაშქარი,
ბულბულს, ოცნების ხეზე ფრთხიალით,
ღრუბელთა შორის ფიქრით მფრინავსა,
ამა ჟამისთვის ხოტბის მგალობელს
და ტროიანეს გზით და ბილიკით
ველსა და მთებზე მოხეტიალეს!...
შენ შეგშვენოდა გექო იგორი,
ძე გულმაგარი ძის ოლეგისა:
„არა შავარდნის გუნდი ქარტეხილს
გადმოუყრია ფართო ველებით,
არცა ჰილყვავი აურაცხელი
მისტანებია დონის მდინარეს!“
ან ამნაირად უნდა გემღერნა,
ბოიან, ძეო ძის ველესისა:
„აჰა, გაისმის ცხენთა ჰიხვინი
მდინარე სულას გაღმა მხარესა,
რეკენ დიდების ზარნი კიევში,
არყევს ნოვგოროდს ხმა საყვირისა!“

თარგმნა კონსტ. ჭიჭინაძემ

---

*) პოემის შესავალი.

„ამბავი იგორის ლაშქრობის“ ტექსტის ისტორიისათვის

ა. ჩხეიძე

რუსული ლიტერატურის ძეგლების ერთ-ერთმა შემკრებმა ა. ი. მუსინ-პუშკინმა 1795 წელს შეიძინა კრებული, რომელიც შეიცავდა რამდენიმე ხელნაწერს, მათ შორის „იგორის ლაშქრობის“ ხელნაწერსაც. ამ ნაწარმოებმა, რომელშიაც აწერილია XII საუკუნის დამლევის ამბავი და რომელიც, ალბათ, წარმოიშვა იმავე ხანებში, ერთბაშად მიიქცია მცოდნეთა ყურადღება. მუსინ-პუშკინმა ა. ფ. მალინოვსკისა და ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის დახმარებით აღნიშნული ძეგლი 1800 წელს გამოსცა.

იმ თავითვე მრავალი სიძნელე გადაეღობა ამ ძეგლის შესწავლას. აძნელებდა საქმეს თუნდაც მარტო ის, რომ აღნიშნული ნაწარმოები წარმოადგენდა არა ორიგინალს, არამედ შემდეგში გადაწერილ ხელნაწერს (ახალი გამოკვლევით, იგი გადაწერილი უნდა იყოს არა უადრეს XVI საუკუნისა). ხელნაწერი შეიცავდა მრავალ შეცდომას, დამატებას, დამახინჯებას და სხვ. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ამ ძეგლში, როგორც საშუალო საუკუნეების ყველა სხვა ძეგლში, სიტყვები გადაბმული იყო ერთი-ერთმანეთზე, არსად არ იყო აგრეთვე სასვენი ნიშნები. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი გაუგებრობა და შეუსაბამობა იქნებოდა შეტანილი ნაწარმოებში ოთხი საუკუნის მანძილზე მისი არა ერთხელ გადაწერის დროს.

მაგრამ მდგომარეობა გართულდა, თითქმის კატასტროფიული გახდა მას შემდეგ, რაც ეს ერთად-ერთი ხელნაწერიც ცეცხლმა შთანთქა 1812 წელს მოსკოვში გაჩენილი ხანძრის დროს. მკვლევარებს შერჩათ მხოლოდ ხელნაწერის ასლი და მუსინ-პუშკინის გამოცემა. ამრიგად „იგორის ლაშქრობა“ ერთბაშად ჰიპოტეზების ბურუსში გაეხვია. მკვლევარნი და მეცნიერნი დღემდე განაგრძობენ ამ ძვირფასი ძეგლის შესწავლას. მის შესახებ უკვე დაბეჭდილია რამდენიმე ასი წიგნი და წერილი.

„ლაშქრობას“ გამოქვეყნებისთანავე თანამედროვენი უდიდესი აღტაცებით და აღფრთოვანებით შეხვდნენ. მაგრამ მალე ეს აღტაცება ეჭვმა შესცვალა. ბევრს არა სჯეროდა ძეგლის სინამდვილე და სიძველე. ბევრი მის ავტორობას თვით მუსინ-პუშკინს მიაწერდა. სკეპტიკურ დამოკიდებულებას იწვევდა ის გარემოება, რომ „ლაშქრობა“, როგორც მაღალ-მხატვრული და ამასთან წმინდა საერო ნაწარმოები, წარმოადგენს ერთად-ერთ მხატვრულ ძეგლს, რომლის მსგავსი არ მოიპოება კიევის დროის რუსეთის მთელს ლიტერატურაში. საბედნიეროდ, ძველ რუსულ მატიანეში შეტანილია „ლაშქრობაში“ აწერილი მოვლენები, ამასთან შეტანილია ისეთივე თანმიმდევრობით, როგორითაც მათ „ლაშქრობა“ გადმოგვცემს.

ძალიან შეუწყო ხელი „ლაშქრობის“ შესწავლის საქმეს 1852 წელს აღმოჩენილმა მეორე ძეგლმა—„ზადონშჩინამ“, სადაც აწერილია 1380 წელს მომხდარი კულიკოვის ბრძოლა. „ზადონშჩინის“ ავტორი ქებადიდებას შეასხამს ამ ბრძოლაში გამარჯვებულ დიმიტრი დონელს. ეჭვს გარეშეა, რომ მას „ზადონშჩინის“ წერის დროს ხელთ ჰქონდა „იგორის ლაშქრობა“, რადგან იგი თითქმის ბრმად ჰბაძავს ამ უკანასკნელს. ნასესხებია იქიდან მთელი გამოთქმები, ზოგიც შეცვლილია, მაგრამ ისე, რომ შეცვლა აშკარად ეტყობა. რა თქმა უნდა, მარტო „ზადონშჩინას“ მეოხებით არ დამტკიცდა „გალაშქრების“ უტყუარობა. ეს უტყუარობა ცხადჰყო მეცნიერთა დაუცხრომელმა კვლევა-ძიებამ. „ზადონშჩინის“ აღმოჩენამ მხოლოდ დაადასტურა კვლევა-ძიებით მოპოებული ცნობები და მკითხველთა ფართო წრეების თვალში გაჰფანტა „ლაშქრობის“ ირგვლივ არსებული ეჭვი.

აღნიშნული ძეგლის შინაარსად აღებულია ნოვგოროდ-სევერსკის მთავრის იგორ სვიატოსლავის ძის გალაშქრება ყივჩაღების წინააღმდეგ. იგორთან ერთად ამ გალაშქრებაში მონაწილეობას იღებდნენ მისი მახლობელი ნათესავები — ძმა ვსევოლოდი, ძმისწული სვიატოსლავი და შვილი ვლადიმირი.

იმ თავითვე დიდად იზიდავდა მკვლევარებს „ლაშქრობის“ ავტორის ვინაობის საკითხი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ავტორის სახელზე—ძეგლს არ მოუტანია ჩვენამდე ავტორის სახელი. მკვლევარები ცდილობდნენ გამოერკვიათ ის, თუ რა წრეს ეკუთვნოდა ავტორი, რა აზრებისა და შეხედულების, რა ქონებრივი ავლადიდების პატრონი იყო იგი. ძეგლში ასახულია რუსეთში ფეოდალიზმის ჩამოყალიბების ეპოქა და ის სოციალური ურთიერთობა, რომელიც ახასიათებდა ფეოდალიზმს როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე. ამის მიხედვით, მკვლევარნი თითქმის ერთხმად დაასკვნიდნენ, რომ „ლაშქრობის“ ავტორი ეკუთვნოდა პრივილეგიურ კლასს—ბოიართა კლასს. იგი იყო ერთ-ერთი მთავრის „დრუჟინის“ წევრი.

მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო „ლაშქრობის“ ავტორი და ვისი პოზიციებიც არ უნდა დაეცვა მას, ერთ რამეში მკვლევარნი უდიდეს ერთსულოვნებას იჩენენ. მათის აზრით, „ლაშქრობის“ ავტორი უაღრესად განათლებული კაცი იყო, საფუძვლიანად მცოდნე როგორც რუსულ-ბულგარული, ისე ბიზანტიური ლიტერატურისა. იგი საუცხოოდ ერკვეოდა თავისი დროის პოლიტიკურ ვითარებაში და, რაც მთავარია, „ლაშქრობის ავტორი“ არ იყო მოწყვეტილი ხალხს, თუმცა წარმოშობით ის უმაღლეს კლასს ეკუთვნოდა. იგი უხვად სარგებლობდა ხალხის შემოქმედებით, მისი პოეზიის წყაროს მდიდარი ხალხური შემოქმედება შეადგენდა.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ქართულად

8 მაისს კონსტ. ჭიჭინაძემ მწერალთა წრეში წაიკითხა რუსული მწერლობის უძველესი ლიტერატურული ძეგლის „იგორის ლაშქრობის“ თარგმანი. წინასწარ მთარგმნელმა მწერლებს გააცნო ის პრინციპი თარგმნისა, რომელიც მან საფუძვლად დაუდვა მუშაობას ამ ძეგლის სიზუსტის დასაცავად, და აგრეთვე ის სიძნელეები, რომელიც წინ ეღობება ამ ძეგლის მთარგმნელს და აფერხებდა ტექსტის ზოგიერთი ადგილების სწორ გაგებას. ამ სიძნელეებს შორის მთავარია ის, რომ იგორის ლაშქრობის უძველეს რუსულ ტექსტში ვხვდებით არა მარტო ისეთ სიტყვებს და წინადადებებს, რომლებიც დღეს უკვე აღარ იხმარებიან და მოითხოვენ ახალ რუსულზე თარგმნას, არამედ მასში მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს გასაგებია და არ საჭიროებს გადათარგმნას, ნამდვილად კი ისინი თავისი აზრით და წარმოთქმით ან ნაწილობრივ, ან მთლიანად უკვე არ შეესაბამებიან იმ აზრს, რომელსაც დღეს ჩვენ ამ სიტყვებში ვგულისხმობთ.

— იმ მიზნით, რომ სწორად გადმეტანა ქართულ თარგმანში ამ სიტყვების სემანტიკა და ინტონაციური ჟღერა — ამბობს ამხ. კ. ჭიჭინაძე — დამჭირდა დაწვრილებით შემესწავლა ამ ძეგლის რამდენიმე რუსული თარგმანი და ძეგლის ასახსნელად დაწერილი ფილოლოგიური ნაკვლევი. ქართული ტექსტისათვის ავირჩიე ზომად ათ მარცვლოვანი ლექსი და ყოველ სტრიქონს მივეცი დაქტილური დაბოლოვება, რომ ამით შემენარჩუნებია რუსული ეპიური ნაწარმოების ინტონაციური ბგერა.

ამ განმარტების შემდეგ, მოსმენილი იქნა პოემის ქართული თარგმანი.

თარგმნის გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა გამოცვლის დროს, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კონსტ. გამსახურდიამ, ალ. აბაშელმა, ვ. წულუკიძემ, გ. ქიქოძემ, ი. ლისაშვილმა და ვ. გაფრინდაშვილმა, აღნიშნულ იქნა თარგმნის დიდი სიახლოვე დედანთან. მთარგმნელს იშვიათად აქვს გამოტოვებული ისეთი სიტყვა ან გამოთქმა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ტექსტის სწორი გაგებისათვის. ამასთან კ. ჭიჭინაძეს თარგმანი არ არის დატვირთული ისეთი სიტყვებით, რომლებიც ორიგინალში არ მოიპოვება.

კ. ჭიჭინაძის თარგმანს სცემს სახელგამი პალეხის მხატვართა მიერ შესრულებული ილუსტრაციებით, მთარგმნელის წინასიტყვაობით და კომენტარიებით.

ამბავი იგორის ლაშქრობისა*)

შეხმობით გლოვა ისმის სისხამზე
მოსთქვამს ასული იაროსლავისა;
ობლად მხმობელი როგორც გუგული
დილა ადრიან გადმოგვღუღუნებს;
„გავფრინდებიო — ამბობს გუგულად
დუნაის ზედან, კაიალაშიც,
ტალღით დავალბობ თახვის სახელოს
და დაუამებ მთავარს ჭრილობას,
სისხლით მორწყულსო მედგარ ტანზედა“.
დილით ასული იაროსლავისა
ჰგოდებს, პუტივლის გალავანზედა,
შეხმობით ტირის: „ო, ქარო, ქარო,
მოფარფატეო, რატომ ბატონო,
ასე ბოროტად რატომ მოჰქრიხარ,
შენი მსუბუქი ფრთების შრიალით
რად მოაქროლებ ისრებს მტრებისას,
ჩემი ტრფიალის მეომრებზედა?
ნუთუ არ კმარა, მაღლა კამარა,
ღრუბელთა შორის რომ გეფარფატა
და დაგერწია ცისფერ ზღვაზედა
შენ ხომალდები, რათ გსურს ბატონო,
რატომ ისურვე, რომ მე სიამე
ბუძგა ბალახზე გამინიავე“.
დილით ასული იაროსლავისა
ქალაქ პუტივლის გალავანზედა
შეხმობით ტირის: „ო, დნეპრო, დნეპრო,
ძეო დიდების! შენ გაარღვიე
კლდოვანი მთები ყივჩაღთა მიწის.
შენ მიარწევდი შენი ტალღებით
სანდლებს მრისხანე სვიატოსლავისას
ბილწ კობიაყის ურდომდისინა.
ეხლა მისმინე, გამოარწიე
ჩემთან ბატონო, ჩემი ტრფიალი,
რომ არ დამჭირდეს ცრემლის გაგზავნა,
ცისფერ ზღვაზედა სისხამ დილითო“.
ტირის ასული იაროსლავისა
დილით პუტივლის გალავანზედა
შეხმობით გოდებს: „მზეო ბარჩხალა,
მზეო ნათელო, ყველას ამკობო,
ყველას ათბობო, რატომ ბატონო,
რატომ განფინე მწველი სხივები,
ჩემი ტრფიალის მეომრებზედა,
უწყლო მინდორზე იმათ წყურვილით,
შემოგრეხიათ ხელში შვილდები
და დახურვიათ მათ კაპარჭები
პაპანაქებით მოთენთილებსო“.

გაიშხაპუნა ზღვამ შუაღამეში
და ქარიშხალიც მრუმეთი მოდის,
მთავარს იგორსა ღმერთი გზას უკვლევს
ყივჩაღთა მიწიდან, რუსულ მიწისკენ.
მამისეული ოქროს ტახტისკენ.
ჩაქვრა დაისში ცის დაფიონი,
იგორი რულავს, არც რულავს იგორს,
იგორი ზომავს გონებით მანძილს
დიად დონიდან დონეცამდისინ.

მდინარის გაღმა ჟამს შუაღამისას
სტვენით მიუხმო ოვლურმა მერანს
და უნდა მიხვდეს ნიშანს მთავარი.
მთავარი იგორ უკვე არ არის.
დასჭყივლებს. მიწა აგუგუნდება,
აშრიალდება ირგვლივ ბალახი,
ყივჩაღთ კარავნი შეირხევიან,
ხოლო იგორმა გადაიქროლა
ყარყუმის გვარად ლაქაშთა შორის.
თეთრ წყარსინჯვით წყალი გააპო,
ჯერ შემოახტა ჩაუქ მერანსა,
შემდეგ გადმოხტა თეთრი მგელივით,
დონეცის მდელოს მეერნობითა
გაჰყვა, გაფრინდა შევარდენივით,
ნისლების ქვეშე ხოცავდა იგი
გედებს და ბატებს სასაუზმოთა,
სავახშმოთა და სასადილოთა.
როცა იგორი მიშავარდნობდა,
მაშინ მირბოდა ოვლურ მგელივით
და იბერტყავდა ცინცხალ ცვარებსა.
ორივემ გზაში დაასავადეს
ფიცხი მერნები მონავარდენი,
და რქვა დონეცმა: „მთავარო, იგორ
ხოტბა გერგების არა მცირედი,
ხოლო ყონჩაკსა ნაღვლიანობა
და სიხარული რუსულ მიწასა“.
იგორმაც უთხრა: „იო, დონეცო,

(გაგრძელება იხ. მე-4 გვ.)

---

*) პოემის დასასრული.

ძველი რუსული პოეზიის გმირული პოემა

სიმონ ჩიქოვანი

გასული წლის დეკემბერს საბჭოთა სამშობლოს ხალხებმა დიდი სიყვარულით იდღესასწაულეს უკვდავი „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის შესრულების თარიღი. მთელი საბჭოთა კავშირის სიტყვის ოსტატებმა საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქში, თბილისში, მოიტანეს უდიდესი სიყვარული და სიხარული, გამოწვეული „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებით. ახალმა ცხოვრებამ ახალი სინათლე მისცა მე-12 საუკუნის ქართული სიტყვის გენიას.

ამ დიადმა დღეებმა ჩამისახეს სურვილი გადმომეთარგმნა დიადი რუსი ხალხის კულტურის წარსული მემკვიდრეობის უდიდესი ძეგლი — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. საბჭოთა სინამდვილეში რუსთაველმა გამოიძახა თავისი დროის ყველა მოწინავე სიტყვის ოსტატი და ჩვენ, თანამედროვე საბჭოთა ქართველ პოეტებს დაგვაკისრა მათი ქართულად ამეტყველება.

მე ვცადე გადმომეთარგმნა „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ისე, რომ იგი თანამედროვე მკითხველისათვის მიმეახლოვებინა და აგრეთვე შემენარჩუნებინა ნაწარმოებისათვის გარდასულ დროთა სურნელება და კოლორიტი. ჩემი მიზანი იყო არ დამსგავსებოდა „იგორის ლაშქრობა“ უბრალო თარგმანს. სათანადოდ გამოვიყენე ძველი სიტყვიერი მასალა; ვეცადე ნივთობრივი და საზოგადოებრივი კულტურის აღმნიშვნელი ლექსიკა მომენახა ძველ ქართულ მწერლობაში და აღმედგინა ნაწილობრივ მაინც სურნელება ქართული მწერლობის ტრადიციებისა. მე ავირჩიე ათმარცვლოვანი თეთრი ლექსი, რათა ჩვენში არსებულ თარგმანების თარგს გადავშორებოდი. ჩემის ფიქრით, ასეთი ლექსი უფრო შეეფერება გმირულ სულს „იგორის ლაშქრობისას“. ათმარცვლიანი ურითმო ლექსის ტრადიცია ქართულ პოეზიაში უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში არ ყოფილა. მხოლოდ ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნემდე ამგვარი ლექსით უთარგმნიათ ჰომეროსის ილიადა ქართული სიტყვის ოსტატებს. მით უმეტეს მაძლევდა ეს უფლებას ამგვარი ლექსით გადმომეტანა ქართულ ენაზე „იგორის ლაშქრობა“. მე მაინც გავექეცი თარგმანის ზედმეტ სინტაქსიურ არქაიზაციას. ჩემი სურვილი იყო მიმეახლოვებინა ეს შესანიშნავი მხატვრული ძეგლი თანამედროვე მკითხველისათვის. „იგორის ლაშქრობაში“ გამოხატული სიყვარული სამშობლოსადმი და მებრძოლი სული უნდა გაიცნონ ჩვენი ქვეყნის ფართო მასებმა. თარგმანზე მუშაობისას ჩემ თვალწინ უფრო და უფრო მაღლდებოდა მისი ავტორი. მკაფიოდ გადმოდიოდა მისი რაინდული სული და დიადი მხატვრული ძლიერება.

ცნობილია, რომ „იგორის ლაშქრობა“ თავის დროისათვის დიდი სააგიტაციო მნიშვნელობის ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. ეს ნაწარმოები დიდის მხატვრული გაქანებით შესრულებული მოწოდებაა ერის კაცისა, — კაცისა, რომელიც იდგა თავისი დროის მოწინავე იდეების სიმაღლეზე და რომელსაც თავის დიდი შემოქმედება ხალხის სიყვარულისა და ინტერესებით ჰქონდა გაჟღენთილი. ავტორი პოემისა ფართო დიაპაზონის მქონეა და მას მაშინდელი საზოგადოების ცხოვრება უდიდესი სინათლით აქვს წარმოდგენილი. მისი პატრიოტიზმის არე ვრცელია და დიდი. სამშობლოს სიყვარულით და თავდადებით ამოქმედებს და აჟღერებს თავის მოწკრიალე ჩანგს, ავტორი მქადაგებელია რუსთა ერთიანობისა და მთლიანობისა გარეშე მტერთან საბრძოლველად. იგი გულის წყრომით იხსენებს ოლეგს, იმ ოლეგს, რომელმაც ყივჩაღები ჩამოიყვანა და რამდენჯერმე თავს დაესხა სამშობლო ქვეყანას, პირადი ინტერესებით გაჟღენთილი. ავტორი გრძნობს, რომ მთავართა შფოთში და ურთიერთთან ბრძოლაში „ხალხის სიცოცხლე იკვეცებოდა“ და „გუთნის დედებიც რუსულ მიწაზე ერთმანეთს იშვიათად თუ გადასძახოდნენ“.

ჩვენი აღორძინების ხანის პოეზიაშიც პოეტმა არჩილმა ამგვარი შეფასება მისცა მთავართა მოღვაწეობას: „ალალდებიან მთავარნი, ერთი მეორეს გაიტანს, ერთი მეორეს სიკვდილად მოვა“ და სხვა. მანვე დასძინა, „თუ ამოწყდა გლეხი კაცი საქართველო დამაბუნდება“. „ლაშქრობის“ ავტორიც კიცხავს იმ მთავრებს, რომელთაც სახელმწიფოებრივი შეგნება აკლიათ და მცირე რამეებს აზვიადებენ „და გამოსჭედეს ურთიერთშორის შფოთი ამბოხი“, დავით გურამიშვილის გენიაც იტანჯებოდა საქართველოს დაქუცმაცებით და სამთავროების ერთმანეთთან ომით. მან უშესანიშნავესი ფურცლები მიუძღვნა ქართველი მთავრების ერთმანეთთან ბრძოლას.

„ლაშქრობის“ ავტორი უფრო ოპტიმისტია, მას უნდა თავისი ნაწარმოები გამოიყენოს ხალხში ახალი სიცოცხლის ჩასანერგავად და რუსეთის მთლიანობის იდეას შესწიროს თავისი ჩანგი. ხალხი მისთვის მთავარია და მამოძრავებელი ცხოვრებისა. იგი იტანჯება, რომ ჩადგა სიავე უბედურება დაჟბოგის მოდგმათა შორის და რუსეთის დამარცხებასაც იგი აწერს მთავართა არაშორსმჭვრეტელობას. „თქვენს შფოთვის გამო ხომ მოგვესიენ მოძალენი ყივჩაღთა მიწით“, მიმართავს იგი მთავრებს. ავტორი სწუხს, რომ იგორის დამარცხების შედეგად ყივჩაღები გადადიან რუსთა მიწაზე.

„და ღებულობენ ყოველ კომლიდან
ხარკად მიზღლისა თითო სინჯაფსა“.

ხალხურობა ავტორისა არა მარტო მის ხალხურ ინსტიქტებშია გამოხატული, არამედ ნაწარმოების მხატვრული სურათოვნებაც გამომდინარეობს ხალხის ცხოვრებიდან და მისი შრომის პროცესები ავტორის სახეების საყრდენია. იგი ხალხის ცხოვრებიდან ღებულობს სურათებს და ფერებს თავის პოემისათვის. ამ მხრივ შესანიშნავია ხალხის ჟლეტის აღწერა, რომელიც შედარებულია კალოობასთან. ავტორი უდიდესი სიმძაფრის სახეებს ჰქმნის თავის პოემაში:

„ნემიგის შინა კაცის თავებს
ძნებსა კრავენ და შემდეგ ცეხვავენ
ჯავარდნით ნაჭედ ბორკილებითა,
კაცის სიცოცხლეს კალოზე სდებენ,
ალმომხდარ სულსაც ანიავებენ
და სისხლიან ნემიგის მიწა
არა სიკეთით არის მორწყული,
არამედ დიდი მოთესილია
რუსი ვაჟების მაგარი ძვლებით“.

ამგვარი სახეების შექმნისას ავტორი უდიდეს მხატვრულ ძლიერებას ააშკარავებს და უდიდესი აზრობრივი სიმაღლით ავსებს გამძაფრებულ სტრიქონებს. როგორც აღვნიშნეთ, ავტორი ოპტიმისტია და მთელი მისი მხატვრული ძლიერება მიმართულია ხალხში მებრძოლი სულის გაღვივებისაკენ. სვიატოსლავი აღმართულია ნაწარმოებში, როგორც დიადი სახელმწიფო განმგებელი, რომელიც მოუწოდებს მთავრებს მთლიანობისა და აღორძინებისაკენ. იგორის დამარცხებით ავტორი სრულიადაც არ ვარდება სასოწარკვეთილებაში. ავტორს უნდა გამოიყენოს ეს შემთხვევა, გარდაქმნას იგი მხატვრულად და მხატვრული სიტყვით ახალი ენერგია ჩაუნერგოს ხალხს გარეშე მტერთან საბრძოლველად. გააღვიძოს მასში წყურვილი მთლიანობისა.

ამიტომ არის აღტაცებული ავტორი თვით ბოიანის*) შემოქმედებით. ბოიანი ქებას შეასხამდა მცხოვან იაროსლავს და გულად მსტისლავს, „ვინაც აჩეხა თვით რედედია, ქაშაგთა ლაშქრის წინაშე მდგომი“. „ლაშქრობის“ ავტორიც მოუწოდებს რუს გოლიათებს და ეუბნება მთავარს: „შენ ძალგიძს ვოლგა მთლად ამოშხეფო და გადაღვარო ჩაფხუტით დონი“-ო. მაგრამ ყველაზე მაღალია მისთვის სვიატოსლავი, რომელსაც შეგნებული აქვს მთლიანობისა და გაერთიანების მნიშვნელობა. ამიტომ უმღერის ის სვიატოსლავს და რუსი ხალხის სხვა გულად მეომრებს.

პოეტმა მ. ბარათაშვილმა მთელი აღორძინების ხანის პოეტების შეხედულება გამოსთქვა თავის ჭაშნიკში: „კარგი ამბავი გალექსე ან ომისა და ფალავნების ამბავზე სთქვი, ამისთვის, რომ კაცს გააგულოვნებ, ომს მოანდომებ, იარაღის ხმარებას ასწავლი, რომელნიც იქნებიან გამოსაყენებელ ქვეყნისა სჯულისა და მეფისა“. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ამგვარი ამოცანა დაისახა თავის მხატვრულ ნაწარმოებში უცნობმა ავტორმა და გენიალური ოსტატობით ალასრულა იგი. იგი სწერს ომის ამბებს, ადიდებს ფალავნებს და თავისი მხატვრული სიტყვით რუს ხალხს უნერგავს ვაჟკაცობისა და გარეშე მტერთან ბრძოლის წყურვილს. „ლაშქრობის“ ავტორი მტრის წინააღმდეგ მოწოდებებს სწერს და ადიდებს რუსი ხალხის გოლიათებს და სამშობლოს დამცველ ტიტანებს. ის დიდად დავალებული უნდა იყოს ბოიანის სიმღერებით და მისი შემოქმედება უნდა ეხმაურებოდეს კიდეც ბოიანის შემოქმედებას. მაგრამ როდესაც ბოიანი სინამდვილეზე ჰქმნიდა ხოტბებს, იგი გამოგონილ ამბებს და ფანტაზიას დიდ ადგილს უთმობდა თავის სიმღერებში, ხოლო ეს უკანასკნელი გზა შემოქმედებისა არ მიაჩნია იგორის ლაშქრობაში ავტორს მისაღებად. იგი სწერს: „არა, იწყების სიმღერა ისე ჩვენი დროების ნამდვილ ამბებით“-ო. იგი მოითხოვს ნამდვილი ამბების აღწერასა და გაშუქებას. როგორც დავით გურამიშვილმა „ქართლის ჭირით“ შექმნა გენიალური პოემა — ქრონიკა საქართველოს ცხოვრებისა, ისე „ლაშქრობის“ ავტორის ნამდვილი ისტორიული ფაქტების დიადი ოსტატობით აღმდგენია. პოეტი არჩილი დიდად აფასებდა პოეტ თეიმურაზს, მაგრამ ირანული ტრადიციები და გამოგონილი ამბებით შექმნილი მისი მწერლობა არ მოსწონდა. ლაშქრობის ავტორიც დიდად აფასებს ბოიანის ნიჭს, მაგრამ

„როს ბოიანსა გულთა მხილავსა
სურდა ვინმესთვის ქება შეეთხზა,
შთაგონებული ის მიილტვოდა
ხის კენწეროზე, სინჯაფის გვარად,
მინდორსა ზედა ლეგა მგელივით,
ღრუბელთა ქვეშე ვეან ორბივით,
ახსოვდა მისანს და გვიამბობდა
ადრინდელ დროთა ურდუმის ამბებს“.

ე. ი. ბოიანი თავის სიმღერებში დიდ ადგილს უთმობდა ფანტაზიას და სინამდვილის ესთეტიურ შეფერადებას. „ლაშქრობის“ ავტორი კი მოწოდებულია აღწეროს თავისი დროება, მისი ეპოქის ღირსება გადაიტანოს მხატვრულ ტილოზე და უჩვენოს, გააცნოს თანამემამულეებს ეპოქა. მისი შემოქმედება თავისებური რეალიზმის მქადაგებელია.

გავიხსენოთ ქართული პოეზია აღორძინების ხანაში. ჩვენი პოეტებიც ქადაგებდნენ ნამდვილი ამბის მხატვრულ ტილოზე გადატანას და ამით სამშობლოს წინაშე ვალის მოხდას. იგორის მომღერალი უბრალო ფაქტების აღნუსხვით არ კმაყოფილდება, მას დაჭერილი აქვს თავისი დროის სული და ცდილობს მხატვრულად იქადაგოს მოწინავე იდეები. იგი პოულობს რუსეთის მიწაზე მისაბაძ გოლიათებს. ამეტყველებს მათ, რათა მოჰფინოს ახალი ძლიერება თავის სამშობლო მხარეს. ის ხატავს ბრძოლის სურათებს, რათა გაუღვივოს მებრძოლი სული თანამემამულეებს. იგი უდიდესი ოსტატია ბატალური სცენებისა ბრძოლების აღწერისას. ავტორი უდიდეს შემოქმედებითს მწვერვალებს აქანდაკებს. გავიხსენოთ:

„მეორე დღესვე სისხამი დილით
მეწამულ ფერის ცის დაფიონი
ლაშქარს აუწყებს რიჟრაჟის მოსვლას,
შავი ღრუბლები მოდიან ზღვიდან,
უნდათ დაფარონ ოთხი მზის შუქი,
ღრუბლებში თრთიან ლურჯი ელვები,
ალბათ, იქნება დიდი ქუხილი,
წამოვა წვიმა ისრების გვარად,
აქვე შუბები გადატყდებიან,
კისკასა ხმლებიც დაიქცევიან
ყივჩაღთა ლაშქრის მუზარადებზე
კაიალაზე, დიად დონთანა“.

გავიხსენოთ ბატალური სცენებით, აღწერილი „ქართლის ცხოვრებაში“: „იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსებოდა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტვერი ფერხითა მათისა, ვითარცა ღრუბელი სქელი, ელვა აბჯრისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა, ხმა პირისა მათისა, ვითარცა ხმა ქუხილისა, სიმრავლე ისართა და ტყორცნა მათისა, ვითარცა სეტყვა ხშირი და დათხევა სისხლის მათისა, ვითარცა ღვარი სეტყვათა“.

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს ძლიერებას და ნათესაობას ზემოთმოყვანილ ნაწყვეტებისას.

პოემის კომპოზიცია უდიდესი ოსტატობით არის აგებული და შეკრული. რუსული პოეზიის გენიალური წარმომადგენელი პუშკინი აღტაცებული იყო „იგორის ლაშქრობის“ მხატვრული სიძლიერით. ჟუკოვსკიმ მოგვცა შესანიშნავი თარგმანი „იგორის ლაშქრობისა“. რუსული პოეზიის დიდ ოსტატებს ხიბლავდა ძლიერება და მედგარი სული ხსენებული პოემისა.

ნაწარმოებს თითქოს ორი რეფრენი ახასიათებს: ერთის მხრივ, ავტორი უდიდეს ოპტიმიზმს იჩენს და პოემაში გამოხატული ლაშქარი მიჰქრის რათა ომში „აღიმაღლონ თავათ ღირსება და მოუხვეჭოს მთავარს სახელი“. (რუსთა ლაშქრისთვის: სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა). მაგრამ იგორის დამარცხების შემდეგ მეორე ამოძახილი ისმის პოეტისა: „აწ არასოდეს უმამაცესი სპა იგორისა აღარ ადგების“. თითქოს აქ უკვე დიდი სევდაა გამოსახული, მაგრამ პოემაში უცებ აღიმართება სვიატოსლავი, რომელიც გადმოაფრქვევს ოქროს სიტყვებს:

„აღიმართეთ თქვენ ხელმწიფენო
ოქროთ მოჭედილ უნაგირებზე
1) რუსული მიწის აღდგინებისთვის,
2) მთავარ იგორის ჭრილობებისთვის,
3) სვიატოსლავის მრისხანე ძისთვის“.

ამ მოწოდებით პოეტი სცვლის დაცემულობის განწყობილებას და მოუწოდებს ხალხს ახალი ბრძოლებისათვის. ამგვარად, ნაწარმოებში გმირული სული არსად არ იკარგება. კომპოზიციურად ისეა აშენებული სურათოვნება „იგორის ლაშქრობისა“ და პოეტური მოწოდებისა მთავრისადმი, რომ ოპტიმისტური ტენდენცია პოემისა არსად არ წყდება და მიგვაქანებს დიდი სიმძაფრით მომავალ გამარჯვებისკენ.

მოწოდების შედეგად ოლეგის ძენი უკვე მომზადებულან სალაშქროდ, და მწერალი უდიდესი გაქანებით მიისწრაფის რუსი მთავრების გაერთიანებისაკენ.

იშვიათად შეიძლება საშუალო საუკუნეების მწერლობაში მოინახოს თავისი მიწა-წყლის ამგვარი სიყვარული, ამგვარი განცდა მისი გეოგრაფიული ადგილებისა. ყოველი გეოგრაფიული ადგილი ავტორში იწვევს დიად პოეტურ აღტყინებას, მდინარეები, მთები, ველები და ცა ამეტყველებულია დიადი შთაგონებით. იშვიათია ამგვარი სიახლოვე ბუნებასთან საშუალო საუკუნეების მწერლობაში. როგორც ავთანდილის სიმღერის მოსასმენად გადმოსხდებიან ქვები და ბუნების ყველა ძალები ამეტყველდებიან, ისე ამეტყველებულან და თანაგრძნობით ხვდებიან ბუნების ძალები ტყვეობიდან გამოქცეულ იგორს. ყვავებმა ყრანტალი მიატოვეს, ბულბულები ტკბილი გალობით მიესალმნენ გმირს და კოდალებმა გზა ანიშნეს ხეებზე კაკუნით. როდესაც იგორი სალაშქროდ მიდიოდა, მაშინ ბუნება თითქოს უწინასწარმეტყველებდა დამარცხებას. საოცარი სურათები, მოულოდნელი და გამოკვეთილი სახეებით დაგვიხატა ავტორმა ბუნების აჯანყება იგორის სალაშქროდ გასვლისას. მაგრამ რა დიდი სიხარულით შეხვდა განთავისუფლებულ იგორს მდინარე დონეცი, ფრინველები ამეტყველა და დარაჯებად გააყოლა, ტალღები გაუფინა და ხის ჩეროები გადაახურა სიცხეში. უთხრა ქება რუსული მიწის გმირს და მხიარულად განშორდა.

ამგვარია მოკლედ მხატვრული სიმაღლე დიადი რუსი ხალხის უდიდესი მხატვრული ძეგლისა. საუკუნეებმა განვლეს, რაც რუსი ხალხის დიდმა პატრიოტმა შექმნა თავისი უკვდავი ნაწარმოები. ახალი საბჭოთა სამშობლო, **სტალინის** გენიით განათებული, დიდი სიხარულით და სიყვარულით იგონებს მე-12 საუკუნის მებრძოლს სამშობლო ქვეყნისთვის. სიყვარული სამშობლო ქვეყნისა აამაღლებს ყოველ დიად გმირს და რუსი ხალხის დიდი მომღერალი ერთნაირად საყვარელია საბჭოთა კავშირში შემავალ ბედნიერ ხალხებისათვის.

---

*) ბოიანი — XI საუკუნის ხალხური პოეტი.

„ამბავი იგორის ლაშქრობისა"

(გაგრძელება)

შენც ქება გერგოს არა მცირედი,
რომ არწევდი მთავარს ტალღებზე,
ქვეშედ უფენდი მწვანე ბალახსა
გაშლილ მოვერცხლილ ნაპირებზედა,
თბილ ნისლოვანშიც მთავარს ახვევდი,
ზე ახურავდი მწვანე ხის ჩრდილს,
წყარსინჯით წყალზე მას სდარაჯობდი,
ნაკადებზედა თოლიის გუნდით
და შრომანებით ქარში შველოდი".
შენ არა გვავსო მდინარე სტუგნა,
ასე ამბობენ, იყო მშფოთარე
ნაკადული და შემდეგ შესრუტა
ნიაღვარები, უცხოთ წყარონი.
და მიამსხვრია გემები ჩირგვებს
ასე ჭაბუკსა თავად როსტისლავს,
მან გადუკეტა ფონი დნეპრისკენ.
მდინარე დნეპრის მრუმე ნაპირზე
ქვითინებს დედა როსტისლავისა,
ჭაბუკ მთავარზე როსტისლავზედა.
თვით ყვავილებმაც საცოდაობით
თავი ჩაქინდრეს და ხეც ვარამით
გადმოიხარა, მიწას დაემხო.

არა კაჭკაჭნი არ კაკანებდენ:
იგორს მოსდევდენ გზა და ყონჩილი.
მაშინ ყორნები არ ყრანტალებდენ
ჭილყვავის გუნდმაც ხმა ჩაიწყვიტა,
არც კაჭკაჭნი არ კაკანებდენ,
მხოლოდ ტოტებზე ხტოდენ ისინი
და კოდალები ხეზე კაკუნით
მდინარესაკენ გზას ანიშნებდენ
და ბულბულებიც ტკბილი გალობით
რიჟრაჟის მოსვლას იტყობინებდენ.

ეტყოდა გზაში გზაყი ყონჩილსა:
„როს შევარდენი ბუდეში მიჭკრის
უნდა გავნგმიროთ შევარდნის ბარტყი
ჩვენი მოოქვრილ, ფრთიან ისრებით.
ხოლო ყონჩილი ეტყოდა გზაყსა:
„როს შევარდენი ბუდეში მიჭკრის
ბარტყი შევბორკოთ ქალწულის ეშხით".
და კვლავ ეტყოდა გზაყი ყონჩილსა:
„თუ დავიპყარით ვაჟი ქალწულით,
აღარ შეგვრჩება შევარდნის ბარტყი,
აღარც ქალწული ეშხით აღსავსე
და ფრინველები ჩვენ დაგვარბევენ
გაშლილ მინდორთა ყივჩაღთა ზედან".
თვით ბოიანმაც, გარდასულ ჟამთა
გალობის მთქმელმა, მთავართ მეხოტბემ,—
იაროსლავისამ და ოლეგისამ,
სთქვა სვიატოსლავის დროების მიმართ:
„შენ გიჭირს დგომა თავო უმხრებოთ,
ცუდო ხარ ტანო მდგარო უთავოდ
და რუსთა მიწავ უიგოროთო".
ლაჟვარდსა ზედა მზე ბარჩხალებს და
თავადი იგორ რუსულ მიწაზე,
დუნაის პირზე ქალნი მწყაზარნი
მღერიან, მათი ხმები კიაფებს,
ზღვას გადასული კიევამდისინ.
მიემგზავრება იგორ ბორიჩევს
ღვთისმშობლის ხატთან პიროგოშჩისა,
კმაყოფილია მხარეები და
ქალაქებია გახარებული.
ძველად უმღერეს მცხოვან მთავრებსა,
ჭაბუკ მთავრებსაც უნდა ვუმღეროთ.
დიდება იგორს სვიატოსლავის ძეს,
მრისხანე ხარსა, უტეხ ვსევოლოდს
და ვლადიმერსა იგორის ძესა,
დღეგრძელი იყოს სპა და მთავრები,
ბრძოლის გამწევი ქრისტიანთათვის,
ბილწთა ლაშქარის დასათრგუნველად.
დიდება მთავრებს, დიდება ლაშქარს.
ამინ!

სთარგმნა **ს. ჩიქოვანმა**

„ამბავი იგორის ლაშქრობისადმი" მიძღვნილი საღამო

29 მაისს მწერალთა სასახლეში შესდგება საიუბილეო საღამო, მიძღვნილი ძველი რუსული ლიტერატურის გენიალური ძეგლის „ამბავი იგორის ლაშქრობის" 750 წლისთავისადმი.

საღამოს პროგრამა:

1. შესავალი სიტყვა.
2. მოხსენება, — პროფ. ს. დანელია.
3. სიტყვები. ს. ჩიქოვანი. კ. ჭიჭინაძე, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გორგაძე, გ. ქიქოძე, პ. ინგოროყვა.
4. „იგორის ლაშქრობის" ქართულ თარგმნებს წაიკითხავენ კონსტ. ჭიჭინაძე და სიმონ ჩიქოვანი.

მწერალთა კავშირის პარტიულ ორგანიზაციაში

11 მაისს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტიული ორგანიზაციის ღია სხდომა კომკავშირის და უპარტიო მწერლების მონაწილეობით. სხდომაზე განხილული იქნა ორი საკითხი: 1. მზადება კომკავშირის არსებობის 20 წლისთავისათვის და 2. კ. ბობოხიძის პოემის „კავკასიონის ქარიშხალში"-ს განხილვა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების მზადება კომკავშირის 20 წლისთავისათვის

1938 წლის 29 სექტემბერს შესრულდება 20 წელიწადი სახელოვანი ლენინური კომკავშირის არსებობის დღიდან. მთელს ჩვენს დიდ სამშობლოში უკვე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ამ უდიდესი თარიღის აღსანიშნავად. პარტორგანიზაციის ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა საკავშირო საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მიმართვა საქართველოს ლიტერატურული ორგანიზაციისა და მის წევრებისადმი. მიმართვა, რომელიც ავალებს მათ შეუდგენ მზადებას ლენინური კომკავშირის 20 წლისთავის არსებობის აღსანიშნავ იუბილესათვის.

თუ როგორ. და რით უნდა აღნიშნოს საქართველოს საბჭოთა მწერლობამ ეს ისტორიული თარიღი, — ამ საკითხზე ილაპარაკა თითქმის მთელმა აქტივმა. პირველ ყოვლისა მწერლობა მოვალეა მიიღოს მონაწილეობა ამ დიდ ზეიმში თავისი შემოქმედებით, თავის მხატვრული სიტყვით, მიუძღვნას კომკავშირული ახალგაზრდობის გმირულ ბრძოლასა და შრომას მთელი კრებული. ამ კრებულში უნდა შევიდეს არა მარტო ის, რაც დღემდე ლენინურ კომკავშირზე დაწერილა, არამედ ისიც, რაც ამ თარიღის აღსანიშნავად უნდა დაიწეროს. მწერლებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ არ დარჩეს კომკავშირის მუშაობის არც ერთი სფერო, რომელმაც გამოხატულება არ ჰპოვოს საქართველოს საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებში. კომკავშირის როლი და ღვაწლი სამოქალაქო ომებში, სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის საქმეში, კულტურულ რევოლუციაში, კომკავშირის მუშაობა სამეურნეო ფრონტზე, კომკავშირი და მეცნიერება, კომკავშირი და მხატვრული ლიტერატურა. ყველა ამ პრობლემამ ამთავითვე უნდა მიიზიდოს საბჭოთა მწერლობის ყურადღება და ღირსეული მხატვრული ხარისხით დაამუშაოს იგი იმ მიზნით, რომ გამოსაცემად განზრახულ კრებულს აჩქარებული მუშაობის დაღი არ დაემჩნეს, მასალების ორგანიზაცია ამთავითვე უნდა დაიწყოს.

სამდივნოს დაევალა დაამუშაოს აგრეთვე კომკავშირის 20 წლის თავის აღსანიშნავ საიუბილეო ზეიმში მწერალთა ორგანიზაციის მონაწილეობის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ამ ისტორიულ თარიღისადმი მიძღვნილ ჟურნალ-გაზეთების სპეციალური ნომრების გამოცემას, ლიტერატურულ საღამოების მოწყობას მწერალთა კავშირში, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და წარმოება-დაწესებულებებში.

კ. ბობოხიძის პოემა „კავკასიონის ქარიშხალში"

პარტორგანიზაციის ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა კ. ბობოხიძის პოემას „კავკასიონის ქარიშხალში"-ს უკანასკნელი გადამუშავებული ვარიანტი, რის შემდეგაც პოემის შესახებ თავისი მოსაზრებები გამოსთქვა ირაკლი აბაშიძემ, რომელსაც ეს ნაწარმოები წინასწარ გასაცნობად ქონდა გადაცემული. პოემაზე თავისი შენიშვნები გამოსთქვეს აგრეთვე ილო მოსაშვილმა, ალ. მაშაშვილმა, იონა ვაკელმა, სოლ. თავაძემ, იაკ. ლისაშვილმა, ალ. ჭეიშვილმა, სანდრო ეულმა და ა. ღვინიაშვილმა.

მწერლებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ პოემა პირველდელ ვარიანტთან შედარებით აყვანილია უფრო მაღალ იდეურ და მხატვრულ დონეზე და საერთოდ მისი ავტორის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელია. ავტორი ამჟღავნებს რითმის გრძნობას, მიმართავს ახალ გაუცვეთელ რითმებს, ხმარობს ისეთ ეპითეტებს და მეტაფორებს, რომლებიც მხატვრულად ხსნიან მოვლენებსა და ადამიანთა ბუნებას, კარგად ხატავს პეიზაჟებს, დამაჯერებლად გადმოგვცემს სამოქალაქო ომების გმირულ ეპიზოდებს და სხვა. მაგრამ მიუხედავად ამ ღირსებისა, პოემას აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. ორატორთა დიდი ნაწილის აზრით, პოემის ცალკე ნაწილები, ცალკე თავები და ეპიზოდები ვერ არიან ერთმანეთთან ორგანიულად დაკავშირებული. პოემას არ აქვს ერთი მთლიანი ფაბულა, რის გამოც მისი სიუჟეტი ძალზე შენელებულია და მოკლებულია ღრმა დრამატიზმს, ავტორს მხატვრულად აქვს მოცემული ბატალური სცენები, მაგრამ მათი სიჭარბე ჩრდილავს პოემის ძირითადი იდეიდან გამომდინარე მთავარ მომენტებს. ასევე ავტორს უხვად აქვს მოცემული პეიზაჟები, ზოგჯერ ძალიან წარმტაცად დახატული, მაგრამ მეტ წილად ისინი არ ემორჩილებიან ამბის განვითარებას, პირიქით, ანელებენ მოქმედების ტემპს. პოემის ერთ-ერთი ნაკლი ისიც არის, რომ მასში სამოქალაქო ომის და მისი მონაწილეების ყოფაცხოვრებითი მომენტები და მათი ფსიქოლოგიის, მათი სულისკვეთების გამომხატველი დეტალები შეცვლილია გმირების მისამართით წარმოთქმულ პათეტიური სიტყვებით. მიუხედავად ამ ნაკლისა პოემა მაინც მკითხველზე ახდენს სათანადო ზემოქმედებას. ავტორს ამ ნაწარმოებით შეაქვს თავისი წვლილი სამოქალაქო ომების თემატიკაზე დაწერილ ლიტერატურაში. ავტორმა კ. ბობოხიძემ გაიზიარა რა ამხანაგების ზოგიერთი შენიშვნა, საჭიროდ ჩასთვალა ამ მითითებების თანახმად საბოლოოდ გადაამუშაოს თავისი პოემა.

„ამბავი იგორის ლაშქრობა"-ს თავსამკაული (გამოც. „ფედერაცია")

მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა კონფერენცია

საქართველოს ლენინური კომკავშირის კიროვის რაიკომის და საქართველოს მწერალთა კავშირის კომკავშირული ორგანიზაციის თაოსნობით თერთმეტ მაისს ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლში შესდგა კიროვის რაიონის მხატვრული ლიტერატურის ახალგაზრდა მკითხველთა კონფერენცია. მთელი ლიტერატურული საზოგადოებრიობა არ შეიძლება მხურვალედ არ მიესალმოს ამ ინიციატივას, რამდენადაც იგი იძლევა ახალგაზრდა მკითხველებთან მწერლების დაახლოების და მწერლების წინაშე ისეთი საკითხების წამოყენების საშუალებას, რომლებიც მკითხველ ახალგაზრდობას აღელვებენ.

კონფერენცია გახსნა კომკავშირის კიროვის რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. შ. **იოსებაშვილმა.**

— თავისი 20 წლის გმირული ბრძოლითა და შემოქმედებითი მუშაობით — ამბობს ამხ. იოსებაშვილი — ლენინ-სტალინის პარტიას კომკავშირმა დაუმტკიცა, რომ იგი არის მისი ძლიერი რეზერვი და მისი საიმედო დამხმარე სოციალისტურ მშენებლობის ყველა უბანზე. კომკავშირმა არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა მშრომელთა ბედნიერებისათვის ბრძოლის გმირულ ისტორიაში. ჩვენი სოციალისტური სამშობლო სამართლიანად ამაყობს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლენინურ კომკავშირის მიერ გამოზრდილ საბჭოთა ახალგაზრდობით. მიუხედავათ ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ჯერ კიდევ ვერ ასახა კომკავშირის გმირული ბრძოლა და შემოქმედებითი მუშაობა, კომკავშირელისა და საბჭოთა ახალგაზრდის სულისკვეთება, მათი იდეურ-მორალური სახე ისე, როგორც მათ შეეფერებათ. სტალინური ეპოქის ახალგაზრდა ადამიანები სისრულით კიდევ არა ჩანან ქართულ ლიტერატურაში. კომკავშირი და მის გარშემო დარაზმული საბჭოთა ახალგაზრდობა მოელის საბჭოთა მწერლებისაგან უფრო ენერგიულ მუშაობას სტალინური ეპოქის ახალგაზრდა ადამიანთა ისეთი სახეების შესაქმნელად, რომლებიც გახდებიან მისაბაძი მკითხველებისათვის, აღზრდიან მათში სოციალისტური სამშობლოსათვის და მუშათა კლასის საქმისათვის უსაზღვრო თავდადებულ მოქალაქეებს.

ამის შემდეგ კონფერენცია ისმენს ამხ. ალ. გომიაშვილის მოხსენებას თემაზე: „კომკავშირი მხატვრულ ლიტერატურაში". მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს რა კომკავშირის მიერ განვლილ გმირულ გზას, მის 20 წლის თავდადებულ ბრძოლას და ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას, მოკლედ არჩევს რუსული მხატვრული ლიტერატურის იმ ნიმუშებს, რომლებიც ხატავენ კომკავშირელს, ლენინ-სტალინის ეპოქის ახალგაზრდა ადამიანებს. შემდეგ მომხსენებელი უფრო ვრცლად ჩერდება საკითხზე, თუ როგორ აქვს დამუშავებული საბჭოთა ახალგაზრდობის თემა ქართულ მწერლობას.

საქართველოს ლენინურმა კომკავშირმა ქართულ ლიტერატურას მისცა არა ერთი და ორი საუკეთესო მწერალი, რომლებმაც ორგანიულად შეიგრძნეს ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფებანი და მთელი ხმით უმღერეს ჩვენს აყვავებულ სამშობლოს, მის ახალგაზრდა თაობას. მომხსენებელი არჩევს ა. მაშაშვილის, კ. ლორთქიფანიძის, კ. კალაძის, ირ. აბაშიძის, გ. კაჭახიძის და კ. ბობოხიძის მთელ რიგ ლექსებს. რევოლუციური სიფხიზლე, ბრძოლა ახალგაზრდობის ლენინურ-სტალინური აღზრდისათვის, კომკავშირის შრომითი ენტუზიაზმი, მისი თავდადება სოციალიზმის საქმისათვის, მგზნებარე სიყვარული ხალხთა დიდი ბელადის სტალინისადმი, კომკავშირის დიდი აღმზრდელობითი როლი საბჭოთა ახალგაზრდების იდეურ-მორალური დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში, ახალი ოჯახის შექმნის პრობლემა — აი საკითხები, რომლებსაც მხატვრულად ამუშავებენ ზოგი მეტად და [illegible] ლიერით კომკავშირელი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში. [illegible] რა ამას, მომხსენებელი ამბობს, რომ უკანასკნელ ხანებში ზემოდდასახელებული მწერლები ნაკლებად სწერენ ახალგაზრდობის თემატიკაზე, რაც მას სრულიად სამართლიანად დაუშვებელ მოვლენად მიაჩნია. კომკავშირელ მწერალს მოეთხოვება უფრო მეტი და უფრო მაღალი ხარისხის ლექსები სწეროს თავის აღმზრდელ, მშობლიურ ორგანიზაციის — კომკავშირის და მისი საუკეთესო შვილების შესახებ. ჩვენმა მწერლობამ უნდა გვიჩვენოს კომკავშირული ახალგაზრდობა, სოციალიზმის გამარჯვებით გაბედნიერებული და სტალინური კონსტიტუციის მიერ უდიდესი უფლებებით აღჭურვილი ახალგაზრდობა, რომელსაც შექმნილი აქვს ყოველგვარი პირობა. ჩვენი მწერლობა თავისი შემოქმედებით უნდა ეხმარებოდეს ახალგაზრდა მკითხველს, უჩვენებდეს მას მოწინავეობისა და გმირობის მაგალითებს შრომასა, ბრძოლასა და ყოფაცხოვრებაში. მშრომელი ხალხის რევოლუციური წარსულის და მისი დღევანდელი თავდადებული შემოქმედებითი მუშაობის ასახვით, საბჭოთა მწერლობა მკითხველში უნდა აძლიერებდეს საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას, უსაზღვრო სიყვარულს სოციალისტურ სამშობლოსადმი.

საბჭოთა მწერლობის ამოცანებზე და მის მოვალეობებზე ახალგაზრდობის წინაშე ილაპარაკეს მწერლებმა სანდრო ეულმა, ირ. აბაშიძემ, ვ. წულუკიძემ, გ. კაჭახიძემ და აგრეთვე ახალგაზრდა მკითხველებმა პეტროსიანმა, გაბუნიამ, თორდიამ და სხვ.

ს. ეულმა, ირ. აბაშიძემ, გ. კაჭახიძემ წაიკითხეს აგრეთვე კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი თავიანთი ლექსები, რომელთაც მთელი კონფერენცია მქუხარე ტაშით შეხვდა.

„მნათობის" მესამე ნომერი

გამოვიდა და ხელმომწერლებს დაურიგდათ მწერალთა კავშირის ჟურნალის „მნათობის" მესამე ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია სარედაქციო სტატია „როცა მტერი არ ნებდება, მას ანადგურებენ", ალ. გომიაშვილის „ბალადა გამოსალმებისა", ელიზბარ პოლუმორდვინოვის „ჩხიკვთა ქორწილი", ირაკლი აბაშიძის „თბილისის სიყვარული", ვალერიან გაფრინდაშვილის „მაქსიმ გორკის", მაქსიმ გორკის „სიკვდილი და ქალიშვილი" (თარგმნილი დ. გაჩეჩილაძის მიერ), იოსებ ტატიშვილის „ნო პასარან", ვიქტორ გაბესკირიას „ნაცნობი ეზო" და ლევან მეტრეველის „ცხრათვალა მზე".

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში მოთავსებულია: გ. ნატროშვილის „კარლ მარქსი და ხელოვნების საკითხები", ე. ბურჭულაძის „1848 წლის რევოლუციის ადგილი მსოფლიო ისტორიაში", ლ. ებანოიძის „პარიზის კომუნა და ქართული პრესა", გ. ქიქოძის „შოთა რუსთაველი" და მამია დუდუჩავას „ილია რეპინი".

გარდა ამისა აღნიშნულ ჟურნალში დასტამბულია ბიბლიოგრაფიები შემდეგ წიგნებზე: სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონებანი", ხერგო კლდიაშვილის „ნოველები", გიორგი ნადირაძის „ნიკო სულხანიშვილი".

750 წელი „ამბავი იგორის ლაშქრობისა"

„ამბავი იგორის ლაშქრობის" დაწერიდან 750 წლის თავის აღსანიშნავ დღედ საბჭოთა კავშირში დანიშნულია 25 მაისი.

ამ დღეს საბჭოთა მწერლების კავშირი მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოსკოვში, კავშირების სახლში, აწყობს დიდ სადღესასწაულო სხდომას. სხდომა გაიმართება აკადემიის პრეზიდენტის კომაროვის თავმჯდომარეობით, მოხსენებით „იგორის ლაშქრობის" შესახებ მწერალთა კავშირისაგან გამოვა ა. ნოვიკოვი.

მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური სესია, მიძღვნილი გენიალური პოემისადმი, მოეწყობა მოსკოვში 25, 26 და 27 მაისს. სესიაზე მონაწილეობას მიიღებენ პოემის ლენინგრადელი და მოსკოველი ცნობილი მკვლევარები.

მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი 22 და 23 მაისს ჩაატარებს პოემისადმი მიძღვნილ სესიას.

რუსი ხალხის გენიალური შემოქმედების საიუბილეო დღეებისათვის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა გამოუშვებს სპეციალურ გამოცემებს. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი" გამოსცემს კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება პოემის თორმეტი თარგმანი და ნოვიკოვის ვრცელი წერილი: „ამბავი იგორის ლაშქრობისა" და მისი ავტორი". სახელმწიფო ლიტ-გამომცემლობა სცემს აღნიშნული პოემის ნოვიკოვის თარგმანს.

კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში 24 მაისს მოეწყობა დიდი საღამო.

ჯამბულის საიუბილეო საღამო

25 მაისს საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება ყაზახეთის სახალხო პოეტის **ჯამბულის საიუბილეო საღამო.**

შემდეგი პროგრამით:

1. შესავალი სიტყვა.
2. მოხსენება ჯამბულის შემოქმედებაზე, — მომხსენებელი ვალ. გაფრინდაშვილი.
3. სიტყვები: ს. აბაშელი, ს. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე, ვ. გორგაძე, ირ. აბაშიძე.
4. თარგმანების კითხვა: ს. ეული, ს. აბაშელი, ალ. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე, პ. სამსონიძე, ირ. აბაშიძე, ვ. გორგაძე, მ. პატარიძე, დ. გაჩეჩილაძე, ს. ფაშალიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი.

ლიტერატურული ახალგაზრდობა

ირაკლი აბაშიძე

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართულ საბჭოთა ლიტერატურას წამოეზარდა მწერლებისა და პოეტების სრულიად ახალგაზრდა ძალები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში უმთავრესად ჟურნალ „ჩვენი თაობის" გარშემო ირაზმებოდენ და მიმდინარე წელს კი წარმოგვიდგნენ საკუთარი მხატვრული კრებულითაც.

საბჭოთა მწერლისთვის, მით უმეტეს ახალგაზრდა დამწყები შემოქმედისთვის თემატიკა ვრცელი და მრავალფეროვანია ჩვენს ქვეყანაში: უსაზღვრო სიყვარული აყვავებული სამშობლოსადმი, ბედნიერი და ჯანსაღი ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყნის ძლიერება, მგზნებარე თავდადება დიდი ბელადებისადმი ლენინისა და სტალინისადმი, ლენინ-სტალინის ძლევამოსილი პარტიისადმი, გმირული საბჭოთა ხალხებისადმი. ახალგაზრდა მწერალს, რომელიც გამოსულია ბედნიერი ახალგაზრდობის რიგებიდან თან მოაქვს ჩვენი განახლებული ცხოვრების ახალი სურათები. ამ დიდ საპატიო საქმეს ემსახურება ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ლიტერატურის ახალგაზრდა თაობა.

სწორედ ამ წინასწარი შენიშვნით იღებს მკითხველი ხელში მათ პირველ მხატვრულ შემოქმედების კრებულს. რომელიც როგორც ზემოთ მოგახსენეთ ახლახან გამოვიდა „ახალგაზრდა მწერლების კრებული"-ს სახელწოდებით. ამ კრებულში, როგორც წინასიტყვაობის ავტორი გვაცნობებს „თავმოყრილია რაც საუკეთესო რამ დაიწერა ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების მიერ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მასში მონაწილეობს ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის ძირითადი კადრი".

როგორც, თითქმის ყოველთვის, ქართულ მწერლობაში, ამ ახალგაზრდობაშიაც პირველადვე შეიმჩნევა პოეტების სიჭარბე, თუმცა აქვე კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიციული პროპორცია ამ კრებულში ნაწილობრივ დარღვეულია. პროზა საკმაო რაოდენობით და სიძლიერითაა წარმოდგენილი. გარდა ამისა ამ კრებულის ახალგაზრდა პროზაიკოსები უფრო მეტად განირჩევიან ერთმანეთისგან წერის მანერით ვიდრე პოეტები, ისინი ნაკლებად გვანან ერთმანეთს. ბ. ავალიანის „მატო არუშბანი" არა ჰგავს ვლ. შავგულიძის მოთხრობას „მზის ქვეშ" თავისი სტილით და სიუჟეტური ხერხებით, გრ. ჩიქოვანის „დათვია არაბული" კ. ხიმშიაშვილის პროზას. ეს მრავალფეროვანება აშკარად შესამჩნევია და ერთი კარგი მოვლენაა ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედებაში.

რუსეთის საბჭოთა ლიტერატურამ შესანიშნავი ტიპები მოგვცა სამოქალაქო ომებში მებრძოლი ახალგაზრდა ადამიანებისა, კომკავშირელებისა. რომელნიც იშვნენ და იწრთობოდნენ ქარიშხალში. საბჭოთა ახალგაზრდები შემდეგშიაც პარტიის ხელმძღვანელობით გმირულად განაგრძობდენ ბრძოლას სოციალისტურ მშენებლობის ფრონტებზე. ამ ადამიანების მშვენიერი სახეები მოგვცეს რუსეთის საბჭოთა მწერლებმა და მათ შორის ყველაზე შესანიშნავად სამოქალაქო ომებში მებრძოლმა, ცნობილმა მწერალმა ნიკოლოზ ოსტროვსკიმ.

ქართულ ბელეტრისტიკაში ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის სურათი, ახალგაზრდა ბოლშევიკის სურათი ჯერ კიდევ ძალზე მკრთალადაა დახატული, რომ ჩვენს ბელეტრისტიკაში სამოქალაქო ომებში მებრძოლი ქართველი ახალგაზრდის ტიპი არა სჩანს, სოციალიზმის ფრონტებზე მებრძოლი ახალგაზრდა სახე ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ საკმაოდ ჩამოაყალიბა და მის ლიტერატურულ უკუფენასაც პირველ რიგში მოითხოვს ჩვენი ლიტერატურის სასიცოცხლო ინტერესები.

რასაკვირველია ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურაში სრული სიცარიელე არაა. ბევრი ჩვენი მწერალი ძირითადად ამ თემას დასტრიალებს, ისინი იძლევიან ჩვენი ადამიანების მხატვრულ სახეებს, მათს მოქმედებას, მათს ბუნებას და ფსიქოლოგიურ ყალიბობის პროცესს. ჩვენი საბჭოთა მოწინავე მწერლების ეს დიდი მუშაობა რასაკვირველია დამთავრებული არ არის. ამ თემაზე ჩვენ კიდევ უნდა მოველოდეთ ახალ დიდ მხატვრულ ტილოებს.

ჩვენს ახალგაზრდა ბელეტრისტებს ეს დიდი მუშაობა წინ უძევთ, რაიც მათ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. ეს თემა აულია ახალგაზრდა მწერალს ვლ. შავგულიძეს, რომლის მოთხრობა „მზის ქვეშ" ამავე კრებულშია მოთავსებული, ბევრი მხატვრული ნაკლი შეიძლება უპოვოთ ახალგაზრდა ავტორს, მაგრამ ეს მოთხრობა მაინც აღსანიშნავია თავისი გულწრფელობით და ენერგიული წერის მანერით.

ცხოვრების ცოდნა, ცხოვრების გულში ტრიალი, ბელეტრისტისთვის პირველადი საქმეა, რაიც უზრუნველჰყოფს საბოლოოდ სტილის დახვეწასაც. ახალგაზრდა მწერალიც „უნდა განამტკიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირურთიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან" **(ლ. ბერია).** ეს მათ არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდესთ. ამხ. ვლ. შავგულიძეს თავის ჯერ კიდევ გამოუცდელი კალმით უცდია მოეცა ცხოვრება საბჭოთა ადამიანის და ეს ნაწარმოებიც ერთი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაა. ავტორსაც ამ მოთხრობისათვის უტმანის სტრიქონები მიუცია ეპიგრაფად „ეს წიგნი არ არის წიგნი" — რომ იგი კაცს შეეხება. მისი ზრდის ისტორიაა, ეს ისტორია კი ავტორს დიდი მგრძნობელობით და ემოციით დაუწერია.

თუ ზემოხსენებულ ნაწარმოების ავტორს ჩვენ ვამჩნევთ რომ სათქმელი აქვს, რომ ის ცხოვრებას სწერს, კრებულში მოთავსებულ ზოგიერთ ახალგაზრდა ბელეტრისტს ხშირად უთუოდ აკლია ეს მომენტი. მათ იციან როგორ უნდა სთქვან და სათქმელს კი ეძებენ. ეს უკანასკნელნი მთელ ყურადღებას აქცევენ სტილის სრულყოფილობისაკენ სწრაფვას, მხატვრულ ფიგურებს, ლამაზად თქმის ტექნიკას და ნაკლებად მიდიან ჩვენი ცხოვრების სიღრმეში, ჩვენს ახალ სინამდვილეში. ამის გამო ბევრი ჩვენი ახალგაზრდა მწერალი ან წარსულისკენ იხევს უკან, ხელს კიდებს ისტორიულ თემატიკას, რომელსაც იგი ძალზე ნაკლებად იცნობს, ან ეგზოტიურ მოულოდნელობებს ეფარება და ეს უნდა გაამართლოს ნაწარმოების „ბრწყვიალა" სტილით. ეს არაა ახალგაზრდა საბჭოთა ბელეტრისტიკის სწორი გზა, ამ გზას ჩვენ ვერ გავყვებით, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ახალგაზრდა მწერალი ჩვენი ახალი ცხოვრების გულში ტრიალებდეს, იქიდან იღებდეს საარსებო წყაროს, ამიტომ მოვითხოვთ და მოველით დამწყები ბელეტრისტებისგან ნაწარმოებებს ახალი ადამიანების შესახებ, მართალ სტრიქონებს ჩვენს ბედნიერ ცხოვრებაზე, რაიც უმდიდრეს თემას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურისთვის.

საყურადღებო მოთხრობა „მატო არუშბანი" მოუთავსებია კრებულში ვლ. ავალიანს. ავტორი იძლევა მთის ბნელი ადათის დამარცხების სურათს, აღიზარდენ მთაში ახალი ადამიანები, შეიჭრა ახალი ცხოვრების ნათელი მზის სხივები მთაშიც და ძველ ადათებსაც ეღება ბოლო. ახალგაზრდა კაცს სისხლი მართებს და იგი არ იღებს სისხლს. ავალიანის მოთხრობაში დამაჯერებლად მხატვრულ ფერებში არის მოცემული სვანისთვის ეს დიდი ფსიქოლოგიური გარდატეხის მომენტი.

მხატვრულად საყურადღებო მოთხრობებით არიან წარმოდგენილნი წინამდებარე კრებულში გრ. ჩიქოვანი და კ. ხიმშიაშვილი. ამ მოთხრობების ერთად განხილვა შეუძლებელია, რადგანაც ისინი არაფრით გვანან ერთმანეთს არც თემატიურად, არც სტილით, მაგრამ თუ ერთად მოვაქციეთ, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გვეთქვა ორივე ავტორის მხატვრულ შესაძლებლობებზე, სტილის მიმზიდველობაზე და დაგვემატებია ის, რაზედაც ზემოთ დაჟინებით მოვითხოვდით — უფრო ახლოს მისვლა ჩვენს ცხოვრებასთან, ჩვენი სინამდვილის მართალი სურათების მოცემა.

რევოლუციურ წარსულს ეხება ლავრენტი ჭიჭინაძის მოთხრობა, იგი სწორად გვიხატავს ბოლშევიკების ბრძოლას ზემო-იმერეთში და აფრასიონ მერკვილაძის სახეს. ამგვარი ისტორიული თემატიკა საბჭოთა მწერლისთვის აქტუალური საკითხია და მას ახალგაზრდა მწერლებმაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ჩვენი წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებას აგვიწერს ახალგაზრდა მწერალი ი. ჩხაიძე. ეს ფრიად საპატიო თემა ახალგაზრდა მწერალს საკმაოდ დაუძლევია. წითელ-არმიელთა ყოფა-ცხოვრებაზე ჩვენ ძალზე ცოტა რამ მოგვეპოება, მიუცილებელია ამ თემაზე პოეტებმა და ბელეტრისტებმა გაამახვილონ თავის კალამი.

კრებულში ოცდა სამი პოეტია მოთავსებული. ეს ფრიად დიდი რიცხვია და მათ ნაწარმოებებზე ცალცალკე შეჩერება ერთ სავაზეთო წერილში ყოვლად შეუძლებელია, ჩვენ მხოლოდ მთავარ მომენტებს შევეხებით ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებიდან.

კრებულის ეს განყოფილება ერთი მთლიანი ახალგაზრდული აღტაცებაა ჩვენი ბედნიერი ცხოვრებით, სამშობლოს სიყვარულით, სიმღერაა დიდ **სტალინზე,** რომელმაც „შეგვიქმნა გაზაფხული და ნათელი განთიადი", ჩვენს გმირ მეომრებზე, სტახანოველებზე, მინდვრების და წარმოების დამკვრელებზე, „ჰაერის ფალავნებზე", აყვავებულ კოლხიდაზე, ქართველი ხალხის სახელოვან წინამძღოლ **ლავრენტი ბერიაზე,** ბედნიერ ახალგაზრდობაზე. ახალგაზრდა პოეტები დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობიან ლექსის კულტურას, მხატვრული ფიგურები, შედარებები, ფრაზები, ძალზე ხშირად ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველზე და უსათუოდ აღწევენ პოეტურ ორიგინალობას. გ. ჯაბუშანურის ლექსში მწყემსი ქალი ასე ნატრობს ზელადის სტუმრობას:

მასპინძლობას გაგიწევდი
მზესაც სტუმრად მოვიწვევდი
კლდეთა აკვანს დავარწევდი
ორ მნათობთა შუქმოფენილს
და როცა დღე გავიდოდა
მზე დედასთან წავიდოდა
შენ კი ჩვენთან დარჩებოდი
მზე იქნოდი, — უქრობელი

არა ერთხელ და ორხელ შეუდარებიათ ქართველ მწერლებს ბელადი მზესთან, მაგრამ გ. ჯაბუშანურის ლექსში ეს შედარება მაინც ორიგინალურად ისმის.

შედარებების და პოეტური ფიგურების სიუხვე საერთო მოვლენაა ახალგაზრდა მწერლების ლექსებში, ეს პოეზიის უცილობელი კუთვნილებაა და მისი ზომიერად გამოყენება უსათუოდ სჭირდება პოეტს. ასეთი შედარებები მრავლად აქვს რევაზ მარგიანს: მნათობები — „პატარები, როგორც ჩოხის ღილები" ან „ქარს გადმოაქვს კავკასიის ნისლიანი ჩაბალახი". მრავლად აქვს გ. კალანდაძეს, თევზაძეს, მირზა გელოვანს, ამისულაშვილს, ლომიძეს, საჯაიას და სხვებს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითმიზნური ძიება მხატვრულ ფიგურებისა ნამდვილად ვნებს პოეზიას, ეს კი შეინიშნება ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში. მაგალითად, ხშირად შ. ამისულაშვილის ლექსის ერთსა და იმავე ტაეპში ერთბაშად ოთხი-ხუთი შედარებაა, რაც აზრსა და სტრიქონს ბუნდოვანს ხდის. ახალგაზრდა პოეტს აკლია გამბედაობა დასწეროს მთელი ტაეპი თუნდაც ერთი შედარების გარეშეც.

პოეტების შემოქმედებაში ფრიად დიდი დოზითაა მოცემული პეიზაჟი და ხშირად ისეთ მდგომარეობაში სადაც სიტუაცია სრულიად არ მოითხოვს ამ უკანასკნელს, ეს ჩვენ გვგონია ნაკლები წინააღმდეგობის გზით სვლაა პოეტური ფრაზის მოკვეთის დროს. მაგალითად:

ვისია ცეცხლი? ყვირის მთიელი
და შავ ლაჟვარდში გაისვრის ხირიმს
ღამეა მშვიდი, ტყე უსიერი
უსმენს ღრანტეში ჩანჩქერის ხვივილს.
(ვ. უბილავა).

რა საჭიროა, ვსთქვათ, აქ „ტყე უსიერი" და თუ აუცილებლად საჭიროა რატომ მაინცდამაინც „ჩანჩქერის ხვივილს" ისმენს იგი ტყე, როცა ხირიმს უსათუოდ მდინარეზე მეტი ხმა აქვს?

პეიზაჟების დახატვით ზედმეტი გატაცება ერთფეროვანს ხდის ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას, გარდა ამისა ამგვარი გატაცებას მიჰყავს მწერალი სოციალურ საკითხებიდან მოწყვეტისაკენ, იდეურ უფერულობისაკენ. ახალგაზრდა მწერლებმა უნდა იბრძოლონ ამ ნაკლის გამოსწორებისათვის.

მირზა გელოვანს, რევაზ მარგიანს და დავით შამათავას ემოციურ ლირიულობასთან ერთად ახასიათებთ ეპიური ტონი, რის განვითარებასაც მათ უაღრესი ყურადღება უნდა მიაქციონ, რადგანაც ახალი ეპოსი ჩვენში ჯერ კიდევ სუსტია და იგი აუცილებლად საჭიროა ჩვენი პოეზიის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ კრებულში მკითხველი აშკარად შენიშნავს აგრეთვე ფორმალიზმის მავნე ელემენტებსაც. ეს მოვლენა უსათუოდ ვნებს ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითი განვითარებას; ხელოვნების ფრონტმა უკვე კარგა ხანია ბრძოლა გამოუცხადა ფორმალიზმს, დამწყებმა მწერლებმაც თავის შემოქმედებაში უნდა აღმოფხვრან ამგვარი ტენდენცია. საბჭოთა ლიტერატურა სამართლიანად ვერ ურიგდება ფორმალისტურ და კამერულ კარჩაკეტილობას. ეს ძალზე ავიწროებს შემომქმედის საზოგადოებრივ რეზონანსს.

ახალგაზრდა მწერლების კრებული მწერალთა კავშირის წინაშე აყენებს საკითხს დამწყებ მწერლებზე მეტი მზრუნველობის შესახებ, მათზე მეტი ხელმძღვანელობის შესახებ. მწერალთა კავშირმა უნდა გააძლიეროს ყურადღება ახალგაზრდა ლიტერატორებზე, ეს უზრუნველყოფს მათ ყოველდღიურ იდეურ განვითარებას ნამდვილი ბოლშევიკური მაღალ მხატვრული ოსტატობის გზით.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სახლი) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 863